„ივერიის“ რედაქციის გამოცემა

# ძეგლის დება

## მეფე გიორგი ბრწყინვალესი

იურიდიული მონოგრაფია

ნ. ურბნელისა.

**ტფილისი. 1890 წ.**
სტამბა-ლიტოგრაფია კ. ა. მესხისა და ს. ა. პოლეტაევისა.

მეფე გიორგი ბრწყინვალე შესანიშ-
ნავია, სხვათა შორის, ღვაწლით, რო-
მელიც დასდო ჩვენს სჯულ-მდებლო-
ბას. მეფემ არა თუ მარტო გაანთავი-
სუფლა საქართველო მონგოლებისა-
გან, არამედ სამშობლოც განაახლა,
წესი და რიგი აღადგინა, ხალხს ახა-
ლის ჯულიმისცა. ჩვენის ისტორიისა
და სჯულ-მდებლობის მკვლევარისა-
თვის ეხლა შეურყეველ ჭეშმარიტებად
უნდა ჩაითვალოს, რომ ბრწყინვალე
მეფემ საერთო სჯული დაუდგინა
მთელს თავის სამეფოს, რომელსაც
იმის დროს დიდი ადგილი ეჭირა, შა-
ვის ზღვიდამ კასპიის ზღვამდე. სამწუ-
ხაროდ, დროთა და ჟამთა ბრუნვის
გამო, იგი საერთო სჯული დაიკარ-
გა და ჯერ-ჯერობით ვერსად უპოვ-
ნიათ. მუხთალს ბედს გადარჩა მხო-
ლოდ ძეგლის დება, – მთიულების სჯუ-

ლი, რომელიც მეტად საყურადღებო უნდა იყოს ყველასთვის, ვისაც-კი ჩვენი წარსული უყვარს და მის შესწავლას მისდევს.

პირველადვე საჭიროა შევნიშნოთ, რომ ძეგლის დება მთელის მთიულეთის სჯულს არ შეადგენს, იგი როდი შეეხება საზოგადოდ ყველა მთიულების იურიდიულს ცხოვრებას, არა, – ძეგლის დების საბძანებელი ვიწრო და მცირე ადგილს შეიცავდა ქსნისა და არაგვის რამდენსამე ხეობას და მეტს არაფერს. მაინც ძველადვე კავკასიონის ყველა ხეობას და პაწია ადგილს თავისი ადათი და ჩვეულება ჰქონდა, – იქ თითოეულს თემს, საზოგადოებას, სოფელსაც-კი საკუთარი ადგილობრივი ადათი მოეპოვებაო, ჩვეულებანი ერთმანეთისაგან განსხვავებული და განაცალკევებულიაო [1]). ამ გზას არც

---

[1]) Проф. Леонтовичъ, „Адаты Кавказскихъ горцевъ“, выпускъ1, стр. 24 – 25.

ჩვენი მთიულეთი ასცდა. აქაც თით-
ქმის ყველა ხეობაში საკუთარი ადა-
თი არსებობს და მოქმედობს, თუმცა
ყველა კერძო ადათს საზოგადო ხა-
სიათიც ამჩნევია და საერთო ფერი
სძევს. ძეგლის დებაც სწორედ რამდე-
ნისამე თემისა და ხეობის სჯული იყო,
მაგრამ ამ სჯულს მაინც ცხადად და-
ეტყო ჩვენის მთიულეთის საზოგადო
ზნე -ჩვეულებათა ბეჭედი. მეტი არ იქ-
მნება ისიც აღვნიშნოთ, რომ თვით
სახელმწიფოც თითქო ხელს უწყობ-
დაო ადგილობრივს ადათს და ამი-
ტომაც ზოგიერთს შემთხვევაში სა-
კუთარი უფლება ჰქონდათ მინიჭებუ-
ლი ქსნის ხეველებს და არაგვის ერის-
თავის კაცებს [2]). დიაღ, ძლევამოსილ-
მა მეფემ საკუთარი სჯული დაუდო
ქსნის ხეველებს და არაგველებს, –

---

[2]) მაგალითებრ, როცა ბატონი სალაშქ-

როდ წაბრძანდებოდა, იხ. „დასტურლამა-
ლი“, პ. უმიკაშვილის გამოცემა, გვ. 85,
1, § 180.

„ჯვართა ყელს აქეთ, ხადაცხოტს, ზან-
დუკის ხევს, კიბეთ, ქვეშეთ და მენე-
სოს ზემოდ ეს განაჩენი დავდევითო"...
მართალია, მთლად ეს ხეობები პატა-
რა ადგილია, მაგრამ ძეგლის დება დი-
დის ყურადღების ღირსია, დიდ-მნიშვ-
ნელოვანი ნაშთია ძველის სჯულ-
მდებლობისა, რადგანაც ნათელს ჰფენს
ჩვენის წარსულის წყვდიადს და ცხო-
ვლად გვიხატავს შორეულს სურათს,
რომელიც ბევრად აწინდელსაც მია-
გავს.

მხოლოდ საჭიროება და ცხოვრე-
ბის მოთხოვნილება ჰბადავს სჯულ-
მდებლობას. ეს საზოგადო მოვლენაა.
საქართველოშიაც სწორედ ასე იყო.
ამას ჩვენის სჯულ-მდებლობის ისტო-
რია ამტკიცებს. მეფე გიორგი ბრწყინ-
ვალემაც საჭიროებისა გამო დასდო
თავისი ძეგლი: „ყოლ სამართალი აღარ

იყო-ღა... აღარ იქნებოდა განაჩენ
დაუდებლობაო“, ასე ბძანებს ძეგლის
მდებელი. წინასიტყვაობაში ვრცლად
მოხსენებულია, მთაში რა უწესოება



და უსამართლობაც არსებობდა და
ნიშნობლივ რისთვის იყო საჭირო „გა-
ნაჩენის დებულობა“.

ძეგლის დება ერთად-ერთი მაგალი-
თი როდია მთიულების ადათის აღ-
წერისა. თუ ჩვენში არა, სხვაგან მა-
ინც, აი თუნდა დაღესტანში, ჯერ
ისევ მეთერთმეტე და მეთორმეტე საუ-
კუნეს ომარ-ხანმა და როსტომ-ხანმა
აღწერეს და ცალკე კრებულად შეადგი-
ნეს ლეკების საადათო ჩვეულებანი [3]).
თუ საგანსა და შინაარსს დავუკვირ-
დებით და ამ მხრივ შევადარებთ ერ-
თმანეთს, მაშინ ჩვენი ძეგლის დება
როსტომხანის კრებულს მოგვაგონებს
და ვინ იცის, იქმნება მეფე მე-

ზობლების ბაძითაც ხელმძღვანელობ-
და ,როცა თავის მთიულებს კერძო
სჯული დაუდო...

ძეგლის დება სამოქალაქო ანუ
საერო სჯულს შეადგენს, „სოფლიო“

---

[3]) Адаты Кавк. Горцевъ,I. в. стр.
42 – 45.



კანონია – „ჩვენ სოფლიოსა ამისი
სისხლი, პატივი და სასაქმო გაგვიჩე-
ნიაო“, და ამიტომ არ შეეხება საე-
კკლესიო და სასულიერო საქმეებს. ამ
საქმეებს განაგებდნენ კათალიკოზი და
ეპისკოპოზნი და იქ, სადაც ძეგლის
დაბას სასიხლო და სამოქალაქო სა-
მართალი ებარა, „სხვა, რაც სასჯუ-
ლო საკითხავი იყოს, კათალიკოზს და
ეპისკოპოზებს ჰკითხონო“... ეს გან-
ცალკევება სამოქალაქო და საეკკლე-
სიო საქმეებისა ახალს არაფერს წარ-
მოადგენს, რადგანაც სულ ძველადვე

სასულიერო წოდებას განსაკუთრე-
ბული ადგილი ეჭირა სამეფოში, თა-
ვისი მმართველობა ჰქონდა, თავისი
კანონი, სამართალი [4]). როცა მეფე
გიორგი ბრწყინვალემ ურჩი მთიულე-
თი „დაუპყრო ტახტსა და სკიპტრასა“,
ადგილობრივი საეკკლესიო გამგეობაც

---

[4]) სასულიერო წოდების მოწყობილობა-
ზედ იხილე ბროსეს Introduction, § 6 Cle-
rgè, CIX etc.



საზოგადო სახელმწიფო წესსა და
რიგზედ მოაწყო. ეს მოწყობა ხომ
თხოულობდა სასულიერო წოდებას
თავისი უფლება არ ჩამორთმეოდა.
ამიტომ, თუმცა მეტად მოკლედ, მა-
გრამ ძეგლის დებამ მაინც ცხადად გა-
მოსთქეა, რა ეკუთვნის და ეკითხვის
საერო სჯულს და რა – საეკკლესიოს.

რასაკვირველია, ძეგლი ვრცლად ჰხა-
ტავს მთიულების შინაგანს წეს-წყო-

ბილებას, ეგრედ წოდებულს ადმინის-
ტრატულ მმართველობას. ფრიად საინ-
ტერესოა საცოდნელად ეს მმართვე-
ლობა ,რადგანაც სხვათა შორის,
მოგვაგონებს ჩვენს სახელმწიფოს სა-
ზოგადო ცხოვრებასაც. თქვენ პირ-
ველ შეხედვაზედვე ჰგრძნობთ, რომ
სახელოვანმა „ხუროთ-მოძღვარმა"
(ასე უწოდებს ჩვენი მატიანე მეფე
გიორგი ბრწყინვალეს) მართლაც და
ხელოვნებით ააგო ადმინისტრატიული
შენობა, რომელშიაც ლაღი მთიული
შეუვიწროებლად მოთავსდა თავისის
ჩვეულებით. შეიძლება იფიქროთ



კიდეც, რომ ეს შენობა რთულია და
სულს შეუხუთავდა თავისუფალს მთი-
ულსაო, მაგრამ ასე როდი იყო; სა-
ხელმწიფო მოხელეებთან ერთად ხალხს
ჰპატრონობდნენ საკუთარი ადგილობ-
რივი მოწესენიც და თვით-მმართვე-

ლობა ხომ ისე იყო მოწყობილი, რომ სახელმწიფო და თემი ერთმანეთს არ სჭარბობდნეწ, არ სჩაგრავდნენ. ძეგლის დების გამგეობის ღირსებაც იმაშია, რომ მთიულის თვით-მმართველობას და სათემო თავისუფლებას არა მოაკ-ლო-რა, მხოლოდ თემი და სახელმწი-ფო დააკავშირა, ერთმანეთს დაუმორჩი-ლა.

მმართველობა ებარათ უფროსსა და უმცროსს მოხელეებს. ძეგლის დებაში მო-ხელენი მთელს ჯგუფს წარმოადგენენ; მთელი დასი იერარქიულად მოწყობი-ლია – ერთი მოწესე მეორეს ემორ-ჩილება, მეორე მესამეს და სხ. სამწუ-ხაროდ, განმარტებული არ არის, რა უფლება და მოვალეობა ეპყრა თი-თოეულს მოხელეს, რა ეკითხოდა,



რაზედ მიუწვდებოდა ხელი და რაზედ არა. ჩვენ ეს ნაკლი ცოტა მაინც უნ-

და შევავსოთ, ცოტად იმიტომ-რომ მასალა ნაკლებად მოგვეპოვება.

## II

ადგილობრივ მოხელეებში პირველი პირი ერისთავია. აქაც ერისთაობას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც საზოგადო სახელმწიფოში ჰქონდა: პირველად ერისთაობა უმაღლესი გამგეობაა, მეორედ წოდებრივს ღირსებას ნიშნავს [5]). ძველს საქართველოში როდი იყო განსაზღვრული, თითოეულს მოხელეს (ხელის - უფალს) ნიშნობრივ რა მოვალეობა და უფლება ჰქონდა. თუ მუდმივ არა, ხშირად მაინც ერთსა და იმავე მოწესეს

---

[5]) ბროსეს Introduction, p. LXXX. ერისთავი მეფის ვ ა ს ა ლ ი ა  და უმაღლესი ადმინისტრატიული მმართველობა აბარია. ამასთანავე იგი დიდებულია, მისი სისხლი ყველა წოდების კაცის სისხლს აღემატება, ვახტ. სამართალი, მუხ.კვ, ლე.

ხელი მიუწვდებოდა მრავალ გვარ საქმეზედ. მართალია, სახელმწიფო სცდილობდა განესაზღვრა და განეცალკევებინა ერთმანეთისაგან სხვა-და-სხვა უწყება (раздѣленіе властей), მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაიარა. საქართველოს თვით-მყოფელობა ისე მოისპო, რომ სახელმწიფომ თავის წადილს ვერ მიაღწია, იმიტომ-რომ ამ წადილს წინ ეღობებოდა შინ ფეოდალობა და გარედ კიდევ უცხოს ბატონობა. ერთიც და მერეც ძრიელ აბრკოლებდა ჩვენს პოლიტიკურს განვითარებას. ერისთაობაც როდია დამთავრებული და განსაზღვრული სამმართველო დაწესებულება. ერისთავი ყველა ბძანდება, ყველაფერი ეკითხვის, მის ხელთ ყველაა; რაც კი კეთდება საერისთოში, მის დაუკითხავად არ აკეთდება, საერისთაოს ბატონიც არის და პატრონიც.

კერძოდ, ძეგლის დების სიტყვით, ერისთავს პირდაპირი დამოკიდებულება აქვს სახელმწიფო საბჭოსთან, აგრედ წოდებულ დარბაზთან, რომელიც უმა-



ღლესს დაწესებულებას წარმოადგენს. რაც-კი რამე სადარბაზოდ მოსახსენებელია, პირველად ერისთავმა უნდა მოახსენოს: „ერისთავმან დარბაზს ჰკადროს“... (ძ.-დ. მუხ. ე და სხ.). მაგრამ მაინც ერისთავი განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევდა ადმინისტრატიულს მმართველობას და ამიტომ მის მოვალეობას უფრო ეს მმართველობა შეადგენდა.

ერისთავის მარჯვენა ხელად გამგებედი უნდა ჩაითვალოს. ძეგლის-დებაში გამგებელი ერისთავს გვერდით უდგია, თუმცა-კი იმის სწორი არ არის და შორს სდგას იმის ღირსებაზედ. ეს მარჯვენა ხელი თავისის უფ-

როსის მოადგილეა და ხალხთან ახლო
დამოკიდებულება უქეს. გამგებელი
ყველაფერს ერისთავის სახელით გა-
ნაგებს, მას აძლევს პასუხს, ანგარიშს.
მხოლოდ ამ ორთ შეეძლოთ და უფ-
ლება ჰქონდათ საქმე „დარბაზსა ჰკა-
დრონ“, რომელსამე დიდს დამნაშა-
ვეს შემწეობა მისცენ და სახელმწი-



ფო საბჭოსთან შუამდგომელობა გა-
უწიონ (ძ-დ. მუხ. ზ, თ). რადგანაც
ღირსებით გამგებელი დაბლა იდგა
თავის უფროსზედ, ამიტომ გამგებლად
უნდა ყოფილიყო მსახური და აზნა-
ურიშვილი (იქვე, მუხ. ბ, დ). გამგე-
ბელსაც ყველაფერზედ ხელი მიუწვ-
დებოდა, – არა თუ კერძოდ მმართვე-
ლობა, გამგეობა ებარა, არამედ სა-
მხედრო და სამართლის საქმეც. იგი
თავისის უფლებითა და მოვალეობით
სრულიად მიაგავს ერისთაეს, თუმცა

იმისი ხელქვეითია.

საკუთრად იხსენიება მოურავი, რომელიც დარბაზს არაფერს „ჰკადრებს“, მაგრამ იმის ბძანებას-კი ასრულებს, – „მოურავთა პირითა მამული ებოძოსო“ (ძ.-დ მუხ. ზ). მაშასადამე, მოურავი ბძანების აღმსრულებელია და, ამას გარდა, თუ მარტო ძეგლის-დებას დავემყარეთ, მოურავს არა ეკითხოდა-რა, მაგრამ ასე როდი იყო: მოურავს მრავალ გვარი მოვალეობა ეპყრა და ამისდა გვარად თვით მოურა-



ვობაც სხვა-და-სხვანაირი იყო. ჯერ ერთი ესა, რომ მოურავი ხანდახან ჯარის კაცად ითვლებოდა და ციხე-სიმაგრენი ებარა („ციხეთა მოურავი“ [6]). ზოგჯერ ხევის-თაობაცაჰქონდა, მაგ., ს. ატენში – „ხევის-თაობა მოურავისა არის“ [7]). ხევის თავის უმთავრესს მოვალეობას ბჭობა და სამართალი შეადგენდა, და

რადგანაც ასე იყო, თვით მოურავსაც სამართალი ეკითხოდა. როდესაც მთავარ-მსაჯული, მდივანბეგი ტფილისში არ იყო, მოურავი ასრულებდა იმის მოვალეობას. მაგრამ მდივანბეგის ყოფნის დროსაც, თუ სატახტო ქალაქში ორი სოფლის კაცი ერთმანეთს უჩიოდა, საქმე და საჩივარი მოურავს უნდა განებჭო [8]). ყველა ეს კიდევ არაფერი. მოურავი მმართველობის წევრიც არის, პოლიციის მოხელეა და სამსახურით მაღლა სდგა სნაცვალ-

---

[6]) Двор.Грам., стр. 43.

[7]) დასტურლამალი, 1. § 18.

[8]) იქვე §§ 24, 57, 201.



სა და მამასახლისზედ. ამ სამსახურისათვის მოურავს სოფლისაგან ეძლეოდა, სხვათა შორის, ჯარიმა ბოზობის ქმნისათვის, თავის გასამტეხლო, გასამყრელო [9]). მაგრამ საქმე იმაშია,

რომ ხშირად მოურავი მთელს მაზ-
რას ჰმართავდა (მაგ., ქიზიყის მოუ-
რავი ანდრონიკაშვილი; ჩოლოყაშვი-
ლებს ჰქონდათ ნაბოძები თუშ-ფშა-
ვის მოურავობა და სხ.). მაშასადამე,
მოურავის უფლება და მოვალეობაც
მრავალ გვარი იყო, მოურავს სხვა-
და-სხვა საქმე ებარა, მისი საბძანებე-
ლი ხან მცირდებოდა და ხან ფარ-
თოვდებოდა [10]). აქ საჭიროა აღვნი-
შნოთ, რომ საეკკლესიო გამგეობას თა-

---

[9]) იქვე, § 15, 24 II § 23.

[10]) დასტურლამალის გამომცემელს, ბ-ნს პ. უმიკაშვილს, მარტო სიტყვების თამაშობა მოსდის, როცა ამბობს: „მოურავი  გამგეგბე-ლია, მმართველი რომლისამე ადგილ-მაზ-რისაო“, გვ. 178. ეს ხომ ყველა ხელის-უფალზედ ითქმის, რადგანაც ყველა გამგე-ბელიც იყო და მმართველიცა!..



ვის დაბა-სოფლებში საკუთარი მოურა-

ვები ჰყავდა, ნაცვალსა და მამასახლისს გარდა [11]), მაგრამ საეკკლესიო მოურავს ძეგლის-დება არ იხსენიებს. თუ ჩვენი განმარტება მოურაობისა საფუძვლიანია, მაშ მთიულეთის მოურავიც მარტო დარბაზის ბძანების აღმსრულებელი არ უნდა ყოფილიყო და, ვგონებთ, არც იყო...

ვრცელს ადმინისტრატიულს შენობაში ეგრედ-წოდებულს ხევის-თავსაც საკუთარი ადგილი ეჭირა, თუმცა-კი ძეგლის-დება გაკვრით იხსენიებს ამ ხელის-უფალს და არ გვიჩვენებს, სახელდობრ რას შეადგენდა ხევის-თაობა. სიტყვის მნიშვნელობისაგან-კი სჩანს, რომ ხევის თავი უფროსი იყო მთელის ხევისა. მართალია, ხეობა პატარა ადგილია, მაგრამ ხევის-თაობა-კი მეტად საპატიო სამსახურად ითვლებოდა. ამიტომ მეფეები ხეეის-თაობას უბოძებდნენ დიდის ღირსების

---

[11]) დასტურლამალი, 1. § 56.

ხელის-უფალს, როგორიც ბოქაულთ-
უხუცესი იყო, თუ არა-და, რომელსამე
წარჩინებულს ფეოდალს, მაგალითებრ
ფარსადან მაჩაბელს [12]). ხევის-თავის
პირდაპირი მოვალეობა მსაჯულობა
იყო. წელიწადში ერთხელ მაინც უნ-
და შემოევლო თავისი ხევი. გაიყო-
ლებდა მუშრიბს (მწერალს), ათს ცხე-
ნიან კაცს და თითო სოფელს ცალკ-
ცალკე დაივლიდა. სადაც-კი მივიდო-
და, ყველა კომლს ძღვენი უნდა მიე-
ტანა. ხევის-თავი კიდევ ერთის სოფ-
ლიდგან მეორეში მიდიოდა, ქურდებს
სდევნიდა, მათ გზა-კვალს დაეძებდა.
თავის გასამრჯელოში, მადიანს ძღვენს
გარდა, ჯარიმიდგან ნაწილი ეძლეო-
და, „სახევის-თავო“ [13]). რაკი ხევის-
თავის პირველს მოვალეობას მსაჯუ-
ლობა შეადგენდა, ამიტომ იგი იერარ-
ქიულად მსაჯულთ-უხუცესის, მდივან-
ბეგის ხელქვეითი იყო [14]). ძველს სი-

[12]) Двор. Грам. стр. 18, 24.
[13]) დასტურლამალი,1. § 65, 220.
[14]) იქვე, გვ. 176.



გელებში მოხსენებულია, რომ ამ მო-
ხელეს სხვა რამეც ეკითხებოდა: ზოგ-
ჯერ ხევის-თავი ხარჯსაც ჰკრეფავდა
და ხვედრს ნაწილს აბარებდა სამსა-
ხურის კაცებს [15]).

გარკვევით ნაჩვენებია ვინ იყო და
რა იყო ხევის-ბერი. ძეგლის სიტყვით,
ხევის-ბერი თითონ ხომ ჯარისკაცია,
მაგრამ მთელის ხევის ლაშქრის უფ-
როსობაც ნაბოძები აქვს დარბაზით, –
«ხევის-ბერს დარბაზით ლაშქართ თავა-
დობა ჰბოძებიაო“ (ძ. დ. მუხ. ი).
„ლაშქართ თავადისათვის", რასაკვირ-
ველია, საჭირო იყო ციხე და ჰქონ-
და კიდეც (ძ. დ. მუხ. ე), რომლის
ჩამორთმევა დარბაზს შეეძლო და
ისიც დანაშაულობისათვის. საყურად-

ღებოა, რომ ამ ლაშქრის უფროსს
და მედროშეს, რომლის ფიქრი და
მოვალეობა ბრძილის ველს დასტრია-
ლებდა, ქურდობის საქმეც ებარა და
მაშასადამე სისხლის სამართალიც ეკით-

---

[15]) Двор. Грам, стр. 24.



ხოდა (იქვე ,მუხ. მე). ღირსებით, ეგ-
რედ წოდებულის „სისხლის დენით“,
ხეეის ბერი მოსამსახურე-გამგებლის
თანასწორია, ერთი და იგივე სისხლი
ეურვებათ (მუხ. ვ, ᲬᲔ), თუმცა-კი ხე-
ვის-ბერად ამორჩევა, ერისთავს გარ-
და, გამგებელზედაც იყო დამოკიდე-
ბული (უეჭველია, გამგებელ აზნაურ-
შვილზედ), ასე რომ ერისთავი და
გამგებელი ვისაც უჩვენებდნენ საიმე-
დო კაცად, დარბაზიც იმას უბოძებ-
და ხევის-ბერობას. მაგრამ ამორჩევა
იმას როდი ჰნიშნავდა, რომ ყველას
მიეღო. ხევის-ბერობა, არა, – ეს მოხე-

ლეობაც ერთსა და იმავე გვარში ტრიალებდა, საგვარეულო ნიადაგზედ იყო აღმოცენილი და როცა ყოფილის ხევის-ბერის გვარი ამოწყდებოდა, მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა სხვა გვარის კაცს მიეღო დიაღ საპატიო „ლაშქართ თავადობა“. როგორც სჩანს ჩვენის ისტორიიდან და აგრეთვე თუ ყალბი არ არის ბროსსესაგან დასახელებული ქოთრიძის



სიგელი [16]), ხევის-ბერობა უძველესს დაწესებულებას შეადგენდა, რომელზედაც შემდეგაც გვექნება სჯა.

ხევის-ბერს, ცოტა არ იყოს, ციხის თავი მიაგავს: იმათ საერთო ისა აქვთ, რომ ორნივე სამხედრო კაცნი არიან. საქართველოს სამხედრო გამგეობაში სულ ძველადვე ვპოულობთ ციხისთაობას და ჯერ ისევ დავით აღმაშენებელმა უბოძა ეს მოხელეო აღია-

შვილებს [17]). ციხის-თავის მოვალეო-
ბა მარტო ის როდი იყო, რომ თვალ-
ყური დაეჭირა და ციხე შეენახა,
არა, – ციხის თავს უნდა გაემაგრა
და მტრისაგან დაეცვა ციხის მიდამო,
მთლად გარეშემო ადგილი. თუმცა

---

[16]) Introduction; p.XCVII.

[17]) Двор.Грам., стр. 42. ჩვენმა სამ-
ხედრო გამგეობამ იცოდა აგრეთვე ц и ь и ს
м е т о ф е , თუმცა არ არის გარკვევით ნა-
ჩვენები, რა მოვალეობა ჰქონდა ამ მოხელეს,
დასტურლამალი, § 114. შეიძლება ვიფიქ-
როთ, რომ იგი ციხის-ჯარის კაცი იყო,
Двор. Грам, стр.6.



ასეა, მაგრამ ციხის-თავი ციხის პატ-
რონი როდია, იგი მხოლოდ ციხის
უფროსია (комендантъ крѣпости),
რომელსაც მეციხოვნე ჯარი ემორ-
ჩილებოდა. ასეთი მნიშვნელობა ჰქონ-
და ციხის-თავს მარტო მთაში-კი არა,

სხვაგანაც, როგორც ამას ამტკიცებს აღბუღას სამართალი, სადაც ციხის-თავი, რასაკვირველია, შეცდომით, წოდებულია ქოთლოსანად და არა ქავ-თლოსანად [18]). ძველად, ძეგლის დების დროს, სამცხე-საათაბაგოში ქავთლო-სანი მსახურთ აზნაურშვილი უნდა ყო-ფილიყო და იგი თავის „პატრონს“

---

[18]) თეიმურაზის და თ. წულუკიძის ხელთ-ნაწერში ქ ა რ თ ლ ო ს ა ნ ი  და ქ ო თ - ლ ო ს ა ნ ი ა  მოხსენებული და ჩვენ არც ერთის სიტყვის მნიშვნელობა არ გვესმისო, ამბობს ბ-ნი დ. ბაქრაძე, Сб. Зак. Вахт. სხოლიო, გვ. 97, მაგრამ საქმე იმაშია, აღბუღას მუხ. ი და ია- ში შეცდომით არის ხმარებული ეს სიტყვები. ციხეს ეხლაც მთა-ში ქ ა ვ ი  ჰქვიან და ეს სიტყვა ძველი სიტყვაა. უნდა იყოს ქავთლოსანი.



ემორჩილებოდა; თვით ქავთლოსნობა ხომ მოხელეობას შეადგენდა. ძეგლიც

ციხის-თაობას მოხელოებად აღიარებს
და ამბობს, რომ სახელმწიფო ანიჭებ-
და ამ მოხელეობას – „ციხის თავად
იდგეს ბძანებით“ (მუხ. იგ). არ ვი-
ცით, მთაში რამდენი ციხის-თავი ეყე-
ნათ, მხოლოდ სჩანს, რომ ს. ხადა-
ში ორი ციხის-თავი უნდა იყოსო.
ციხეს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა
(სხვათა შორის, „ციხეთა დაქცევამ"
გამოიწვია ძეგლის დება) და ამიტომ
ციხის თაობაც თვალ-საჩინო სამსახუ-
რად ითვლებოდა. ციხის-თავს საკუ-
თარი „სისხლი სდიოდა“ და, ასე გა-
სინჯეთ, იმის ძმისა და შვილის სისხ-
ლიც-კი სხვა იყო, ვიდრე უბრალო
კაცისა (მუხ. იგ, იდ).

ზემოხსენებულნი ხელისუფალნი შე-
ადგენდნენ ადგილობრივს მმართვე-
ლობას და იმათ გარდა ძეგლი არა-
ვის იხსენიებს, თუმცა შეცდომით
სხვებსაც უჩვენებენ [19]).

---

[19]) ბ-ნი დ. ბაქრძე მამასახლისსაც ასა-

## III

ადგილობრივ მმართველობის ზემოდ იდგა უმაღლესი გამგეობა, რომელიც სატახტოს ქალაქში სუფევდა. თითოეული მოხელე, ასე თუ ისე, ამ გამგეობას ექვემდებარებოდა, იმისის ნებისა და წადილის აღმსრულებელი იყო, და არა სხვისა ვისიმე. თვით მყოფელად მხოლოდ იგი უმაღლესი გამგეობა უნდა ცნობილ იყოს, ადგილობრივი მმართველობა ხელქვეითი დაწესებულებაა, რომელიც რასა «დარბაზი» უბძანებს, მხოლოდ იმას აკეთებს. და აი თვით ეს უმაღლესი გამგეობაც.

აქ პირველი ხელი-უფალი ვეზირია. რა იყო ვეზირობა?

ვეზირობა ჩვენის ცხოვრების ნაყოფი არა ყოფილა. ეს უმაღლესი ხელის-უფლება საქართველომ არაბები-

ხელებს, Сб. Зак. Вахт., გვ. 82, სხოლიო 4, თუმცა ძ ე გ ლ შ ი  მამასახლისი სრულიად არ არის ნაჩვენები.

– 23 –

საგან მიიღო და წინად არაბების მფლობელობამდე, ჩვენ სრულიად არ მოგვეპოვებოდა. ვეზირობა მხოლოდ მაჰმადის სწავლამ შეჰქმნა და დაჰბადა, მაგრამ საქართველოშიაც ამ ხელის უფლობას ისეთივე ძალა და მნიშვნელობა ჰქონდა, როგორიც მაჰმადიანთა სახელმწიფოში. იქ ვეზირი ხელმწიფის შემდეგ პირველი კაცია, იმისი თანაშემწე და მარჯვენა ხელია. მაჰმადიანთ სახელმწიფო მოძღვრებამ ორ გვარი ვეზირობა დააწესა: არის ვეზირი, რომელიც სრული და თითქმის დამოუკიდებელი ბატონია და თაფის ნებაზედ განაგებს ყველა სახელმწიფო საქმეს, არის ისეთი ვეზირიც, რომელიც ხალიფის ნებასა და ბძანებას ემორჩილება [20]). ჩვენში

ამ მეორე ხასიათის ვეზირობა დაარს-
და და რადგანაც დამოკიდებული

---

[20]) Фанъ-денъ Бергъ, „Основныя начала мусульманскаго права“, стр. 177, 178.



ვეზირი, თვით ყურანის სწავლით, შეიძლებოდა ყოფილიყო რამდენიმე, საქართველოშიაც რამდენიმე ვეზირი იყო ერთსა და იმავე დროს; ამას, ვგონებთ, ძელის დების წინასიტყვა-ზაც უჩვენებს, სადაც სიტყვა ვეზირი მრავლობითად იხსენიება – „დავსხე-დით ვეზირნიო“... ვეზირს დარბაზში პირველი ადგილი ეპყრა და, მეფეს გარდა, ყველაზედ უფროსი იყო. იგი ძველს «ეზოთ-მოძღვარს» როდი მიაგავს, როგორცჰფიქრობენ [21]). არა, – ვეზირის ასპარეზი უფრო ფარ-თოა, ყველაზედ ხელი მიუწვდება, ყველაფერი ეკითხვის. რაც-კი რამე

მოეხსენებოდა დარბაზს, უეჭველად ვეზირის პირით უნდა მოხსენებოდა. ერისთავი და გამგებელი ხომ დარბაზს

---

[21]) Сбор. Зак. Вахт. стр. 84, სხოლიო დ. ბაქრაძისა. ეზოთ-მოძღვარი, როგორც თვით სახელიც აჩვენებს, მეფის კარის ხელის-უფალი იყო. ვეზირი სხვაა, სახელმწიფოს უმაღლესი ხელის-უფალია...



ვერ მიჰმართავდნენ, თუ არა ვეზირის საშუალებით.

თუ ვეზირობა ხელის-უფლება იყო, დარბაზი კიდევ უმაღლესს სახელმწიფო დაწესებულებას შეადგენდა. არსებითი განსხვავება ჩვენის დრბაზისა ისაა, რომ იგი მარტო სათათბირო დაწესებულება არ იყო, დარბაზი კიდეც თათბირობს და კიდეც გამგეობს (Совѣщательно-административный органъ). ეს ორ გვარი ხასიათი დარბაზს ცხადად ამჩნევია. გარდა ამი-

სა, მოხელეს გამწესება, მაგალითად ხევის-ბერისა, დარბაზზედ არის დამოკიდებული (ძ. დ., მუხ. ე და სხ.); იგივე დარბაზი სჯიდა მოხელეების დანაშაულობას. მაშასადამე, დარბაზი უმაღლესს სამოსამართლო დაწესებულებასაც წარმოადგენდა (მუხ. ვ). ერთის სიტყვით, ამ დაწესებულებას ყოველ გვარი საქმე ებარა, ყველა უწყება და თითოეული ადგილობრივი გამგეობა აქ იყო თავმოყრილი. დარბაზის წევრებად იყვნენ მეფის კა-



რის მოხელენი, თავჯდომარედ თვით მეფე ბძანდებოდადა, რასაკვირველია, მისი ნება და უფლება ყველაზედ მაღლა იდგა, დარბაზზედ არ იყო დამოკიდებული. ერისთავის მოკვლა, მაგ., დამნაშავეს დარბაზით უნდა ჰკითხოდა, მაგრამ მეფეს შეეძლო დარბაზის განაჩენი არ შეეწყნარებინა – „მეფემან

იკითხის, რაჟამცა უფრო ძნელად
იკითხებოდეს“, ე. ი. ნება აქვს უფრო
დიდის სასტიკობით დასაჯოსო... მარ-
თალია, მეფე თვით დარბაზსაც აღე-
მატებოდა, მაგრამ ეს კიდევ იმას არ
ნიშნავს, რომ საქართველოს მეფეს
მხოლოდ თავისი ნება და სურვილი
მიაჩნდა კანონად და სხვა არაფერი.
არა, ძეგლის დების წინასიტყვაობა საუ-
ცხოვო საბუთს გვიჩვენებს, რომ,
როცა სახელმწიფოს საჭიროება თხო-
ულობდა, მეფე ერის წარმომად-
გენელებს მოუწოდებდა, იმათ დაე-
კითხებოდა და მხოლოდ მაშინ დას-
დებდა განაჩენსა და გადაწყვეტილებას.
ერის წარმომადგენლობაში იყო თვით
მეფობის ძალა და მნიშვნელობა.



## IV

წინა სიტყვაობის შემდეგ, ძეგლის

დება განმარტებს პირველად მოხელეე-
ბის „სისხლის დენას“ და მეორედ
გვიჩვენებს, რომელ მოხელეს რა უნდა
გარდახდეს დანაშაულობისათვის. „სი-
სხლის დენის“ ძირითადი თვისება
ისაა, რომ თითოეულს მოხელეს
სისხლი გვარსა ზედა“ სდის. ეს ფორ-
მულა „გვარსა ზედა“ თავიდამ ბო-
ლომდე დაცულია და სასტიკად აღი-
არებული, ასე რომ, რაც გვარი დი-
დია და პატივდებული, იმდენად
უფრო ბევრი „სისხლი სდის“, ე. ი.
უფრო ბევრი გადასახადი ერგება.
აქ ძეგლის დება მხოლოდ საზოგადო
კანონს მისდევს: ძველა ერის უძვე-
ლესი სისხლის სამართალი დამნაშავეს
სისხლს ახდევინებს დაზარალებულის
„გვარსა ზედა“. როცა რომლისამე
ერის ცხოვრება ჯერ ისევ განუვითა-
რებელია და საგვარეულო მოწყობი-
ლობას არ გასცილებია (родовой
быть), თვით სისხლის საქმეც მხო-

ლოდ „გვარსა ზედა“ სწარმოებს. ასე იყო მარტო მთიულეთში არა, – ჩვენს მეზობლებსაც სისხლი „გვარსა ზედა“ სდიოდათ [22]). მაგრამ ძეგლის დება როდი სჯერდება საზოგადო ფორმულას: „გვარსა ზედა“ რაკი დააარსეს რთული ადმინისტრატიული მმართველობა, პოლიტიკური საზრისი თხოულობდა თითოეულს მმართველობის წევრს განსაკუთრებული პატივი სდებოდა. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ ძველად საქართველოში თითქმის ყველა მოხელეობა გვარს მისდევდა, მის სსაკუთრებას შეადგენდა. რაკი ასე იყო, სჯულ-მდებლობამაც უფრო ადვილად აღიარა სამართლის მეორე თვისება – სისხლის დენა «სამსახურსა ზედა». რაც მოხელე მაღლა სდგას, იმდენად უფრო მეტი სისხლი სდის, ასე რომ პირველი

[22]) მაგალითებრ, ჩერქეზებს, ყაბარდოელებს, Адаты, I, стр. 396 – 399, 167 и пр.



ფორმულა „გვარსა ზედა“ დაერთო. მეორეს – «სამსახურსა ზედა». დამნაშავეს მოუცილებლივ სისხლი უნდა დაეურვა ჯერ „გვარსაზედა“ და მერე პიროვნულის ღირსებისა და სამსახურის კვალობაზედ.

რასაკვირველია, თუ მოკლული ანუ სხვაფრივ დაზარალებული მოხელედ არ იდგა, მაშინ ბრძანებლობდა ერთადერთი ფორმულა: „გვარსა ზედა“. ადგილობრივ მოხელეებში პირველი ხომ ერისთავია. ამიტომ ვინც ერისთავს მოჰკლავს, ყველაზედ დიდ დამნაშავედ ითვლება. თვით იგი მკელელობა „უმსგავსო და უსაზომო შეცოდებაა“. ამ «შეცოდებისათეის» სამ გვარი სასჯელია გაჩენილი – გარდახვეწა, მამულის წაღება და სისხლის

დაურვება გვარსა ზედა, – რომელიც
თითქმის ყველა დამნაშავისათვის სა-
ვალდებულოა. განსხვავება მხოლოდ
იმაშია, რომ გარდახვეწა და მამულის
წაღება ცოტად თუ ბეერად ხანგრძლივია
იმისდა გვარად, თუ ვინ იყო ბოროტ-



მომქმედი და მსხვერპლი ბოროტ-
მომქმედებისა. რას ნიშნავდა გარდა-
ხვეწა, მამულის წაღება?

ძეგლის დება მხოლოდ იხსენიებს
ერთსა და მეორეს, მაგრამ არ გვი-
ჩვენებს, რას მოასწავებდა გარდახვეწა
და რა იყო მამულის წაღება. პირვე-
ლად საჭიროა შევნიშნოთ, რომ ეგ-
რედ წოდებული გარდახეეწა, ე. ი.
სამშობლოდამ განდევნა ძველი ჩვე-
ულებაა და დასაწყისი მოეპოვება იმ
დროს, როცა რომლისამე ერის ცხო-
ვრება საგვარეულო წესზეა მოწყობი-
ლი. მაშინ თითოეული კაცი მხოლოდ

გვარის მფარველობის ქვეშ იმყოფება, გვარს გარეშე მისთვის შვება და ხსნა არაა, გვარი ჰპატრონობს, ნუ-გეშობს, ხშირად იმის მაგიერად სი-სხლსაც იურვებს. ერთის სიტყვით, ყველა კაცი გვარით სცოცხლობს და სულდგმულობს. მაგრამ შეიძლება ვისმეს ბედმა უმუხთლოს და გვარმა, რომლისამე მიზეზის გამო, ხელი აი-ღოს თავის კაცზედ. მაშინ ბედკრული



და უკუღმართი „უთვის-ტომო“ შეიქ-მნებოდა, გვარს უნდა მოშორებოდა, საგვარეულო მიწა-წყალი დაეტოვები-ნა, შორს გარდახვეწილიყო, ბეჩავი და უპატრონო მაწანწალა გამხდარიყო. გარდახვეწასა და მაწანწალობას ადა-მიანი როგორც იყო გაუძლებდა, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ყველას სრული ნება ჰქონდა დაუსჯელად გარდახვეწილი დაეჩაგრა, თუნდა კი-

დეც მოეკლა, – გვარი ხომ მფარველი არა ჰყავს და გარდახვეწილისა აბა ვის რად შეეშინდება!.. ამიტომაც საშინელი და თავს ზარ-დამცემი სასჯელი იყო. გარდახვეწა, გვარიდამ განდევნა (genti adscriptio) [23]). ძეგლის გარდახვეწასაც სწორედ ეს მნიშვნელობა ჰქონდა. აქაც გარდახ-

[23]) ჩვენს მთაში ეხლაც მისდევენ „მოკვეთას“, რომელიც ძ ე გ ლ ი ს  გარდახვეწას მიაგავს. სხვა მთის ხალხში ხომ ხშირია გარდახვეწა, მაგულითებრ ჩერქეზების „აბრექ“, ყუმიყების „ბაიყუშ“, Адаты, в. I, 359, в. II, 345.



ვეწილი ყველას მოკლებული იყო, უმწედ და უნუგეშოდ დაწანწალებდა, მუდამ შიშსა და ელდას ქვეშ იმყოფებოდა და თავ-შესაფარი თუნდაც რომ ეპოვა, მფარველი მაინც არავინ ჰყავდა...

ეს უბედურება გარდახვეწილს ერ-
თი-ორად უძლიერდებოდა, რადგანაც
გარდახვეწას თან მოსდევდა მამულის
წაღება. კიდევ ჰო, თუ თითონ გარ-
დახვეწილისათვის ჩამოერთმიათ მამუ-
ლი – უამისოდაც ხომ იგი მამულს
ვერ მოიხმარდა, – სავალალო უფრო
ის იყო, რომ მამულის წაღება მამუ-
ლის სასეფეოდ დადვას ნიშნავდა, ე. ი.
„ხაზინა“, სახელმწიფო უნდა დაჰპატ-
რონებოდა მამულს, ეხმარა და ესარ-
გებლა. ესეც თითქო არა კმარაო, ასე
გასინჯეთ, სახლსა და კერასაც-კი ჩა-
მოართმევდნენ გარდახვეწილის ოჯახს
და ერისთავს, ან გამგებელს ჩააბარე-
ბდნენ. ახლა აბა წარმოიდგინეთ მში-
ერ-მწყურვალი ცოლ-შვილი, ბეჩავად
ხეტიალი უცხო ადგილას, სირცხვი-



ლი და პატივის ახდა, მუდამ შიში და
ელდა, ცუდ-უბრალოდ არავინ მომკ-

ლასო, და გაიგებთ, რასაც უქადიდა კაცს გარდახვეწა და მამულის წაღე-ბა...

მამულის წაღება სასეფეოდ დადვა იყო. ეს საგანი ღირს-შესანიშწავია და განმარტებას საჭიროებს. ძეგლში ხში-რად მოხსენებულია მამულის სასეფე-ოდ დადვა და ეს მარტო მაშინ-კი არა, როცა ცალკე კაცი იყო დამნა-შავე, – სახელმწიფომამულს ართმევ-და ხეობასა და სოფელსაც, თუ სალაშ-ქროდ არ გავიდოდნენ (მუხ. ით). მაგ-რამ ეს კიდევ არაფერი. ეგრედ წო-დებულს ბეითალმანსაც(выморочное имѣніе) მხოლოდ იმ პირობით უბო-ძებდნენ, რომ მამულის მიმღებს ხარ-ჯი ეწია, – „საჯარო, სალაშქრო და საბეგრო არ დააკლდეს ქვეყანასაო“ (მუხ. კ). ვისაც მიწა-წყალი აქვს, ძეგ-ლის სიტყვით, ვალდებულიც არის სა-ხელმწიფოს ემსახუროს, „სალაშქრო“ და „საბეგრო“ არ დააკლოს და თუ

დააკლო, მამული, „წაეღება“. რადგანაც ასე იყო, მამულ-ადგილის მფლობელობასა და მიწის საკუთრებას თავისებური ხასიათი ჰქონდა. ეს მფლობელობა და საკუთრება სრულებით არ მიაგავდა იმ წყობილებას, რომლის ძალით მიწა საერთო საკუთრებაა და თვით გვარი, თუნდა თემი სამამულო, საადგილო კავშირია და სხვა არაფერი, როგორც ამას სხვაგან ვხედავთ [24]). ძეგლის-ხევი, სოფელი კომლეულად სცხოვრობს; თითოეულს კომლს ცალკე საკუთრება აქვს, თავისი ადგილ-მამული უჭირავს და საერთო მფლობელობა არ იცის. ხევი და სოფელი ერთს გარეგანს ძალას

---

[24]) სულ ძველად მიწა საერთო იყო, საერთო საკუთრებას შეადგენდა. ამის ნაშთს თვით ინგლისშიაც-კი უჩვენებენ. ტევტონების ეგრედ წოდებული მ ა რ კ ა სამამულო კავშირი იყო. შემდეგში საერთო საკუთრებისაგან კერძო

საკუთრება წარმოსდგა. ნახე ამ საგნის შესახებ „Деревенскія общины на Востокъ и Западъ“, Мэна, стр. 44 и слѣд.



ემორჩილებიან (სახელმწიფოს), როგორც თვით შინაობაში ერთისა და მეორისათვის სავალდებულოა მხოლოდ საგვარეულო დამოკიდებულება (родовая связь) და სხვა არაფერი. ამიტომ ხევი და სოფელი არც ძველებური „მარკაა“ და არც აწინდებური „ობშჩინა“. თუ რამე საერთო ჰქონდათ ხევსა და სოფელს, მარტო ის, რომ რომელსამე თემს ეკუთვნოდნენ. თემი კიდევ უფრო სადროშე კავშირი იყო და სავალდებულო ყველა ხევისა და სოფლისათვის. მართალია, სათემო კავშირს გვერდით საგვარეულო უდგია, მაგრამ ეს უკანასკნელი პირვანდელს ძალასა და მნიშვნელობას მოკლებულია. სახელმწიფო და კერძოდ სამხედრო ძალა სჩაგრავს საგვარეუ-

ლო წეს-წყობილებას ამიტომაც მი-
წა-მამული თითქო უფრო სახელმწი-
ფოს საკუთრებაა და ზედ ადევს ხარ-
ჯი – „სალაშქრო-საბეგრო“. როცა
ვინმე ხარჯს არ გადაიხდის, მამული



„სასეფეოდ დაიდება“, ე. ი. მამული
სახელმწიფოს უნდა მიეღო. ამ მხრივ
ძეგლის საადგილ-მამულო წესი, ცო-
ტა არ იყოს, მიაგავს მაჰმადიანთა
ეგრედ წოდებულს ხარაჯას [25]).

სასჯელის მესამე ნაწილს სისხლის
დაურვება შეადგენდა. სწორედ იგი
დაურვება იყო ჯარიმა, რომელიც
დამნაშავეს მიუცილებლივ უნდა გა-
დაეხადა. შეიძლება მსუბუქ ბოროტე-

---

[25]) Основныя начала мусульманскаго
права, стр. 88. ხ ა რ ა ჯ ი ჰქვიან იმ ად-
გილ-მამულს, რომელიც ხმლით დაუჭე-
რიათ ომიანობის დროს (джигадъ-священ-
ная война.) და რომელიც წინად სხვა სა-

რწმუნოების ხალხს ეკუთვნოდა.ხ ა რ ა ჯ ი სახელმწიფოს საკუთრებაა. საკვირველია, რომ ბ-ნს დ. ბაქრაძეს სრულიად ვერ შეუგ-ნია – თუ რას ნიშნავს ძ ე გ ლ ი ს „სასე-ფეოდ მამულის დადვა“, თორემ ამა ხომ აღარ იტყოდა: ... „ему(законодателю) какъ будто неизвѣстно на своей территорiи поземельное право казны...“ Сб. зак. Вахт. стр. 83, თითქო ძ ე გ ლ ი ს „სასეფეოდ მამულის დადვა“ და ეს „поземельное право казны“ ერთი და იგივე არ იყოს!..

– 37 –

ბისათვის გარდახვეწა და მამულის წა-ღება არ მიესაჯათ, მაგრამ სისხლის დაურვებას-კი თავიდამ ვერავინ აიც-დენდა, – სადაც დანაშაულობა იყო, იქ, უეჭველად, სისხლის დაურვებაც უნდა ყოფილიყო, რასაკვირველია, თუ საქმეს „პატიებით“, „შერიგე-ბით“ არ გაათავებდნენ. ძეგლის სისხ-ლის დაურვებაც საყოველთაო ძველს

წესს მისდევდა, – სისხლი მაშინაც
უნდა დაეურვათ, როცა, ბოროტ-
მოქმედების მაგიერ, ვისმეს მარტო ზა-
რალს მისცემდნენ, რომლისამე კაცის
სამოქალაქო უფლებას დაარღვევდნენ
(гражданское правонарушеніе).
ჩვენმა ძეგლის დებამაც როდი იცის –
რა დიდი განსხვავებაა სასისხლო და
სამოქალაქო საქმის შორის [26]). თვით
სისხლი დამნაშავეს ფულით უნდა
გადაეხადა და ეს გარემოება მით

---

[26]) სხვა მოდგმის მთიულების ადათიც ამ
მიმართულებას ადგია, – არ ჰპოვებს განსხ-
ვავებას სასისხლო და სამოქალაქო საქმეს
შორის, Адаты, 1, стр. 395 და სხ.



უფრო შესანიშნავია, რომ მეზობლებ-
ში ასე არ იყო [27]). ფულად თეთრია
მიღებული და ეს ალბად იმიტომ,
რომ მეფე გიორგი ბრწყინვალეს ჯერ
მოჭრილი არა ჰქონია თავისი საკუ-

თარი ფული – გიორგული [28]).

მოხსენებული არაა – რამდენი ღირდა ერისთავის სისხლი და საზოგადო ფორმულა „გვარსა ზედა“ ხომ არაფერს გვეუბნება. ძეგლის თქმით, ერისთავის მოკვლა არ გაგონილა და თუ ეს უბედურება იქმნა, მაშინ თვით მეფემ იცის – რაც შეიძლება სასტიკად მოექცეს დამნაშავესაო... აქაც

---

[27]) როგორც ადათებიდგან სჩანს, სხვა ტომის მთიულები სისხლს იურვებდნენ საქონლით, ავეჯეულობით და სხვ. ფული სულ ახალ დროს შემოიღეს, Адаты, 1, стр. 399.

[28]) თ ე თ რ ი შაურის ღირებულია, ბროსსეს „Introduct“. p. LXXXI. გ ი ო რ - გ უ ლ ს ვახტანგიც იხსენიებს თავის კანონებში, მუხ. იე, თუმცა არ ამბობს რამდენი ღირდა.



ახალი არაფერია; ყველგან, სადაც

წოდებრივი განსხვავება არსებობს, პირველის ხარისხის თავადის, დიდებულის სისხლი მეტად დიდად ფასობს [29]). საზოგადოდ-კი რომ ითქვას, ძეგლის დების სისხლის დაურვება დამნაშავეს მაგრე რიგად ძვირად არ უჯდება.

## V

ერისთავს თან გამგებელი მოსდევს. როგორც ზემოდაც შევნიშნეთ, ჩამომავლობით გამგებელი ან მსახური იყო („მსახური იყოს გამგებლად"), ან არა-და – აზნაურშვილი («აზნაურშვილი იყოს გამგბბლად», მუხ. ბ, დ).

---

[29]) ჩერქეზების ადათი უფრო სასტიკად მოქმედობს: თავადს რომ თოფი ესროლა თავის ყმისათვის, ამ უკანასკნელს ხელის განძრევა არ შეეძლო; ვინც-კი განიზრახავდა თავადის მოკვლას, სახლობით ამოჟლეტდნენ, Адаты, 1, стр. 417. ოსებში თავადის – უზდანლაგის მოკვლა, სხვა-და-სხვა ხარჯს გარდა, ღირს 3240 ძროხა და უბი-

რის კაცისა-კი (ფარსაგლაგ) 60 ძროხა, Адаты, II, стр. 28.



მაგრამ ეგრედ წოდებული მსახური უბრალო მსახურად როდი ითვლებოდა, არა, – იგი წოდებითა და ღირსებით შემაერთებელი ხიდია აზნაურსა და გლეხს შორის, მათ შუა სდგას. ძველ დროს წვრილ მოხელეებად, მეტადრე ადმინისტრაციაში უფრო მსახურნი იყვნენ ხოლმე და განსაკუთრებულს წოდებას შეადგენდნენ [30]). საყურადღებოა, რომ „მსახურთა წოდება“ ჩვენს მეზობელ მთიელებსაც ჰქონიათ, მაგ. ჩერქეზებს, რომელთა საზოგადოებურის ცხოვრების ფორმა და აგებულება მეტად მიაგავს საქართველოს ძველ ცხოვრების წყობილებას. თვით ოსეთშიაც მსახურნი (ყავდასარდ) ცალკე სდგანან და განცალკევებულს წოდებას ეკუთვნიან [31]). საქართველოში მსა-

[30]) Introduction, p. LXXX.

[31]) Адаты, 1, стр. 116, § 2, 119, § 7, мєтадрє 182, XIV; П, стр. 9, 12, § 6, 14, 15, 17 და სხ. შევნიშნავთ მკითხველისათვის, რომ ოსეთში სულ უკანასკ-



ხურად აზნაურიც ხომ ირიცხებოდა. მაგალითებრ, მსახურს აზნაურს იხსენიებს აღბუღას სამართალი (მუხ. ᲬᲔ) [32]). მაგრამ, როგორც სჩანს, შემდეგში მსახურს აზნაურობა ჩამორთმევია და გლეხსა და აზნაურს შუა მოჰყოლია. ჩვენ არ ვიცით როგორ და რისთვის აღმოიფხვრა მსახური აზნაური, რაც ცვლილებამ მოსპო და წალეკა იგი განსაკუთრებული სოციალური წყობა, მხოლოდ ეს კია, რომ

ნელს, მეოთხე წოდებას გ უ რ ზ ი ა კ ე ბ ი ეკუთვნოდნენ; გურზიაკები იყვნენ ტყვეებად წაყვანილი ქართველები; პატრონს თუნდაც

სახლობით გაეჟლიტა თავისი გურზიაკები, ხმის გამცემი არავინ იყო; თუ სხვა ვინმე მოჰკლავდა, მაშინ-კი პატრონისათვის ოცდაათი ძროხა უნდა მიეცა სისხლში, Адаты, 11, стр. 11 – 18, 28.

[32]) აღბუღას სამართალი არ ამბობს, მსახური რომელის ღირსების აზნაური იყო. ჩერქეზების ადათის ძალით, სულ უკანასკნელი, მესამე ხარისხის აზნაური იწოდებოდა მსახურად, Адаты, l, стр. 182. იქნება ძველად ჩვენშიაც ასე იყო...



ძველად მსახური-გამგებელი დაბლა იდგა გამგებელ-აზნაურშვილზედ. სისხლიც სხვაფრივ სდიოდათ: მსახურის სისხლი ღირდა ექვსი ათასი თეთრი, (ოც-და-ათი თუმანი), აზნაურშვილისა-კი ჩვეულებრივს „გვარსა ზედა“ მისდევდა. მაშასადამე, უბრალო მსახური კეთილშობილი არ იყო, „გვარი“ არა ჰქონდა; აზნაურშვილი-კი „გვარიანია“ და ამიტომ სისხლიც „გვარ-

სა ზედა“ სდის.

ძეგლის დება ამბობს მოკვლა ორ ნაირიაო: შეიძლება გამგებელი მოჰკ-ლას მთელმა ხევმა და სოფელმა, მაგრამ ისეც მოჰხდება, ცალკე კაცს შეემთხ-ვას მოკვლაო. რასაკვირველია, ეს ორი დანაშაულობა ერთმანეთისაგან ძლიერ განსხვავდება. პირველი დანა-შაულობა დიდია, მთელის ხევისა და სოფლის ურჩობასა და ამბოხებას მოას-წავებს. სასჯელიც დიდი აქვს განჩენილი. ჯერ ერთი ესა, ექვსი ათასი თეთრი უნ-და დაეურვოს მსახურს გამგებელს. გარ-და ამისა, თითოეული კომლი უნდა



„გაებეგრათ“: თითო ცხენი ბეგარად და-ედვას წელიწადსა შიგან გამოსაყვანე-ლად სასეფეოდ... ეს ძველადვე ასე ყოფილა.. . (მუხ. ბ). გარდახვეწა და მამულის წაღება არ შეიძლებოდა და მოუხერხებელიც იყო. ამიტომ კანო-

ნმა „ძველს“ ჩვეეულებას მიჰმართა და მართლაც, იგი ჩვეულება ამ შემთხვევაში უფრო სავარგო და სახეიროა.

ძეგლის-დება „ფათერაკით“ მოკვლასაც იხსენიებს – „თუ ერთს კაცს ეფათერაკოს გამგებელი“... საზოგადოდ ცნობილია, რომ ყველა ძველი სისხლის სამართალი მხოლოდ ბოროტმოქმედების გარეგანს მხარეს აძლევს მნიშვნელობას და შინაგანს-კი – განზრახვახ, აზრს უყურადღებოდ სტოვებს. საჭიროა მხოლოდ, რომ ესა-და-ეს მოკლეს, მაგრამ განზრახ თუ არა, – ამის განხილვა საჭირო არ არისო; ამიტომ ძველი სჯული და ადათი თითქმის [33]) ერთნაირად სჯის «ფათერაკით» და განზრახ მოკვლას. ძეგლიც სწორედ ამ საყოველთაო აზრს

[33]) აი თუნდა ოსების ადათი, Адаты, II, стр. 4.

მისდევს, როცა აღიარებს: „თუ ერთს კაცს ეფათერაკოს... მამულისაგან გაიძოს და შეუნდობლად მამული სასეფეოდდაიდეასო“...მაგრამ გარდახვეწა და მამულის წაღება არა კმაროდა და სისხლიც ცალკე უნდა დაეურვათ. მოხდებოდა, რომ „მეფათერაკეს“ შეძლება არა ჰქონდა სისხლის დასაურვებლად. მაშინ იმის მამულს გამგებელის ოჯახს გადასცემდნენ, თუ არა-და, თვით მეფე გადაიხდიდა სისხლსა და მამული სასეფეოდ დაიდებოდა (მუხ. გ).

იქ, სადაც ჯერ ისევ საგვარეულო კავშირი მტკიცეა და მჭიდრო, მთელი გვარი (родъ) ეხმარება თავის ღარიბს დამნაშავეს, იმის მაგიერად სისხლს იურვებს და ჯარიმას იხდის ან ერთბაშად, თუ არა-და – ნელ-ნელა, ნაწილ-ნაწილად. მას ვხედავთ, მაგალითებრ, ჩერქეზებში [34]). ხოლო

---

[34]) Адаты, 1, стр. 167, 398, თუ გვა-

ძეგლის-დება, თუმცა საგვარეულო კავშირს უარს არა ჰყოფს, მაგრამ გვარს არ აკუთვნებს ღარიბისა და ღატაკის დამნაშავის პატრონობას. პატრონიცა და ბატონიც სახელმწიფოა და არა სხვა ვინმე. მეფე იურვებდა სისხლს და მამული სასეფეოდ რჩებოდა. არც გვარი და არც ხევი და სოფელი არაფერს შუაში იყვნენ და ეს გარემოება ერთხელკიდევ ამტკიცებს ჩვენს დედააზრს, რომ ძეგლს ცხოვრების საფუძვლად მიღებული აქვს სახელმწიფო კავშირი და არა საგვარეულო, ან საადგილ-მამულო დამოკიდებულება.

ღირს შესანიშნავია, რომ არც აღბუღას სამართალმა იცის ხსენებული საგვარეულო პატრონობა. როცა დამნაშავეს არ შეეძლო სისხლი გარდაეხადა, ან როცა თავის ნებით გარდაიხვეწებოდა, მაშინ „პატრონს“ უნ-

---

რი სისხლს არ გადაიხდიდა, მაშინ დამნა-
შავე უნდა გარდახვეწილიყო.



და სჭეროდა მამული და დაზარალე-
ბული კიდევ გამოსავლის ნახევარს
„სჭამდა“. დიდებულის სისხლი, მაგ.,
ორმოცი ათასი თეთრი ღირდა.
თუ დამნაშავე სისხლს ვერ დაიურვე-
ბდა და ან გადაიხვეწებოდა, «მამუ-
ლი აქვნდეს პატრონსა ჯაყელსა და
მაწყურელსა; ნახევარი გამოსავლისა
მესისხლეს აჭამოს» (მუხ. ბ. იხილე
ეგრეთვე მუხ. ე, სადაც აზნაურზეა
ნაამბობი. სულ სხვანაირია „გაყენება“,
როცა აზნაური აზნაურს მოჰკლავ-
და, მუხ. რნა). ერთის სიტყვით, ჩვენს
უძველესს სჯულ-მდებლობაში სრუ-
ლებითაც არ მოიპოვება ჩვეულებრივი
„საგვარეულო პატრონობა“ [35]) და
ღატაკი დამნაშავე მეფისა და ბატონის
„პატრონობას“ მხოლოდ მაშინ ჰპო-

ვებდა, თუ რაიმე მამული ჰქონდა,

---

[35]) სხვაგან მთიელებში ბატონი, მაგ., თავადი პატრონია გლეხისა სასხლის საქმეში და იმის მაგიერ სისხლს იურვებს, Адаты, 1, стр. 137, §. 52, 139, § 56.



მაგრამ რამდენი იყო უმამულო დამნაშავე!...

რასაკვირველია, უფრო მძიმე დანაშაულობად ითვლებოდა, თუ მოხელე გამგებელს მოჰკლავდა. ძეგლი მხოლოდ ერთს მაგალითს გვიჩვენებს: როცა ხევის-ბერს შემოაკდებოდა გამგებელი. მაშინ დამნაშავეს სხვა რამეც უნდა გარდახდოდა და ეს სხვა რამე „ხევის ბერობის წაღებაა“. სხვაფრივ-კი სასჯელი საზოგადო იყო: სისხლი „გვარსა ზედა“ და მიუცილებელი გარდახვეწა, მამულის წაღება. ხევის-ბერი სამ-წლობით უნდა გაეძევებინათ და გაძევების

დროს მამული და ციხე სასეფეოდ რჩებოდა. სახლი ერისთავს უნდა ჩაებარა. რადგანაც ხევის ბერობა გვარეულობაში ტრიალებდა და გვარის საკუთრება იყო, ამიტომ გვარის კაცს უნდა ჰბოძებოდა ეს მოხელეობა, მხოლოდ ისეთს გვარის კაცს, რომელიც «არა ცხადად და არა იდუმალ» გამგებლის მოკვლაში არ ერია (მუხ. ე).



## VI

თუმცა ადგილობრივს ადმინისტრატიულ გამგეობაში ხევის-ბერი ძლიერ მაღლა არ იდგა, მაგრამ დიაღ თვალსაჩინო გავლენა ჰქონდა და სამხედრო საქმეში ფრიად ბევრი ეკითხებოდა. ჯერ ერთი ისა, რომ ხევის-ბერი ლაშქრის უფროსია, დროშა უპყრია და მთელს თემს წინამძღოლობს. მეორედ კიდევ – თავის ხევში საკუთარი ციხე

აქვს, თითონაც და გვარიც მეტად პატივდებულია. ძეგლის დებაც განსაკუთრებულს ყურადღებას აქცევს ამ ხშირად ურჩსა და ლაღს „ლაშქართა თავადს“.

სისხლით ანუ ღირსებით ხევის ბერი მოსამსახურე გამგებელს უდრის. ორნივე ერთსა და იმავე იერარქიულ საფეხურზედ სდგანან. ამას სისხლის რაოდენობა ამტკიცებს: უკეთუ „ქვეყანა“ (общество) მოჰკლავდა ხევისბერსა, ჯარიმა და გარდასახადი ისეთივე უნდა წართმეოდა, როგორც მოსამსახურე-გამგებლის მოკვლაში



(მუხ.Წ). ეს ერთი საბუთი. მეორე კიდევ ისა, რომ ხეეის ბერი ხევის-ბრის მოკვლისათვის მოსამსახურე-გამგებლის სისხლს იხდიდა, – ექვს ათას თეთრს (მუხ. ე). სისხლს გარდა, ადმინისტრატიული სასჯელიც ერთი

და იგივე იყო: სამ წლობით გარდა-
ხვეწა, მამულის სასეფეოდ შეტანა და
ეგრედ წოდებული სახლის ჩამორთმე-
ვა. ერისთავსა და გამგებელს უნდა
ჩაებარათ გარდახვეწილი სსახლი.

თვით სახლი და ოჯახიც ხევის-ბე-
რისა განსაკუთრებულის ღირსებით
შემკული. ოჯახის თითოეული წევრი
განსხვავდება სხვა წოდების კაცისა-
გან და ეს მაშინაც-კი, როცა პირა-
დად იგი წევრი შესანიშნავს არაფერს
წარმოადგენს. საკმაოა ხევის-ბერის
ოჯახს ეკუთვნოდე, იმის „გაუყოფა-
რი“ იყო, მასთან ერთ ჭერს ქვეშ
სცხოვრობდე, და „სისხლიც“ სხვა
გექნება, დიდება და პატივი განსხვა-
ვებული გეპყრობა. ეს საოჯახო ღირ-
სება მეტად თვალსაჩინოდ არის აღია-



რებული და საყურადღებო კიდევ
ისაა, რომ ამ ღირსებას ზედ ერთვის

„გვარის“ ღირსებაც: ოჯახსა და გვარს თითქოს ხელ-შეკრულობა დაუდვიათ, ერთად მოქმედებენ, ერთის გზა-კვალით მსვლელობენ და ხევის-ბერობასაც საკუთარს ფერსა სდებენ. ამ ნაირად იგი ხევის-ბერობა მთლად-დამყარებულია საოჯახო და საგვარეულო საფუძველზედ (семейно-родовое начало). გარდა ამისა,სხვა ხასიათიც ატყვია ამ იურიდიულს დაწესებულებას, სახელდობრ ისა, რომ რამდენადაც ოჯახს შორდებით და გვარის შორეულს წარმომადგენელს უახლოვდებით, იმდენად ძალადაუფლება ხევის-ბერობისა ნელ-ნელა მცირდება, სისხლი ცოტად იურვება, ასე რომ სისლი შადრევანსავით სჩქეფს ქვემოდამ ზემოდ და რაც მაღლა მიდის, უფრო ჩქეფა სუსტდება და ბოლოს ხომ ჰქრება კიდეც...

რაკი სულ პირველად ოჯახს ჰქონდა უპირატესობა, ამიტომ ყველაზედ

დიდი სისხლი სდის იმ დამნაშავეს, რომელიც მოჰკლავდა ხევის-ბერის გაუყოფარს და მოახლეს (მოახლე – ახლო ნათესავი: მამა, ბიძა, ძმა, ძმისწული). დამნაშავეს უნდა გადაეხადა ექვსი ათასი თეთრი, და გარდა ამისა, ორ-წლობით გარდახვეწილიყო. რასაკვირველია, ერისთავი და გამგებელი, ჩვეულებისამებრ, ჩაიბარებდნენ გარდახვეწილის სახლს. ხევის-ბერის ოჯახს გარედ ხომ ის ღირსება და პატივი არ იპოვება, როგორიც თვით იმის ოჯახში. გაყრა, გაყოფა ისეთი გარემოებაა, რომელიც შესამჩნევად აცოტავებს და ამცირებს ხევის ბერის განაყოფის ერთ-სისხლის კაცის (раздѣльный родственникъ) მოკვლას, სულ ერთია, განაყოფი მოკლული კაცი მეყვისია (შორეული ნათესავი), თუ მოახლე. თუ კი ერთ-სისხლის კაცი ცალკე ოჯახად გავიდოდა, მა-

შინ სისხლი ერთი-ორად უცოტავდე-
ბოდა, ასე რომ თუნდ ხევის-ბერის
განაყოფი ძმაც მოგეკლათ, ერთი-ორად



ნაკლები სისხლი უნდა მიგეცათ, ვიდ-
რე გაუყოფარის ძმის მოკვლაში. ერ-
თის სიტყვით, ხევის-ბერის ოჯახს გან-
სხვავებული ღირსება აქვს და შედა-
რებით ბევრი სისხლიც სდიოდა.

მაგრამ, როგორც შევნიშნეთ,
ოჯახს გვერდით გვარი უდგია. გვა-
რი, ერთ-სისხლობა ბუნებრივი კავ-
შირია და ყველა პირვანდელს საზო-
გადოებას ეს კავშირი კანონად აღი-
არებული აქვს. საზოგადოებას ვინღა
იტყვის, ძველს დროში თითოეული
სოციალური დაწესებულება ამ კა-
ნონს ექვემდებარება. ეს უნდა ით-
ქვას ხევის-ბერობის შესახებაც. ხევის-
ბერის დროშას გვარის თითოეული
კაცი უნდა დაემორჩილოს, ერთ-

სისხლის კაცებს იგი დროშა აკავში-
რებს, სულერთია, გვარის კაცი მე-
ყვისია, თუ მოახლე. რადა? – თუმცა
კანონი ამბობს ყველა ერთ სისხლი-
სანი „დარბაზით დაყენებულს ხევის-
ბერს ახლავანო" (მუხ. ი), მაგრამ
მარტო დარბაზის სანქცია აქ არაფერს



შუაშია; ვიდრე დარბაზი ხევის-ბერს
ყველა მონათესავეს „აახლებდა“,
თვით ხევი-.ბერობამ ყველა „იახ-
ლა, იმიტომ რომ ხევის-ბერი ბუნე-
ბით გვარის უფროსია, მეთაურია,
წინამძღოლია. კანონმა დარბაზს მხო-
ლოდ ის დაუსაკუთრა, რაც წინად
ბუნებით ხევის-ბერს მინიჭებული
ჰქონდა... და რომ ეს ჩვენი დედა-აზ-
რი ნამდვილია და საზოგადო სოცი-
ალურს კანონზედ დამყარებული [35]),
ამას შემდეგი ამტკიცებს:

საზოგადო მოვლენაა, რომ რაც

დრო და ჟამი მიდის, ერთ-სისხლო-
ბა სუსტდება, გვარი ირღვევა, იქ-
საქსება. ამ მიზეზის გამო იბადება
განსხვავება „შორეულისა“ და „ახ-
ლოს“ შუა. ეს განსხვავება იური-

---

[35]) პირვანდელი სამხედრო წყობილება: სა-
გვარეულო წესზედ არის მოწყობილი და თვით
სამხედრო კავშირიც უპირველესი კავშირია,
Гербертъ Спенсеръ. „Развитіе политичес-
кихъ учрежденій“, стр. 20, 53 – 55, 62
и пр.



დიულად სისხლის რაოდენობით იხა-
ტება: ახლო ნათესავის სისხლი მეტია,
შორეულისა ნაკლები. ხშირად, თუ
მუდამ არა, სისხლის დენა პროპორ-
ციალურად ქვემოდამ ზემოდ მიდის.
როგორც უკვე შევნიშნეთ, სწო-
რედ ძეგლის დებაც ამ გზას ად-
გია: მეყვისის სისხლი ნახევრით ნაკ-
ლებია მოახლის სისხლზე (მუხ. ი).

მართალია, ნაჩვენები არ არის, სახელ-
დობრ რამდენი ღირს ხევის-ბერის მე-
ყვისის (შორეული ნათესავი) სისხლი,
მაგრამ ანალოგიის დახმარებით შეიძ-
ლება გადაჭრით ვსთქვათ, რომ იგი
სისხლი შედგენდა ათას ხუთას თეთრს
(შვიდ თუმან ნახევარს), – მოახლის
სისხლის ნახევარს...

ჩვენ ვუჩვენეთ ორ ნაირი საფუძვე-
ლი ხევის-ბერობისა – საოჯხხო და
საგვარეულო (семейно-родовое на-
чало) და აღვნიშნეთ, რომ სისხლის
დენა ოჯახსა და გვარს მისდევდა. რა-
საკვირველია, აღნიშნულს საფუძველს
სისხლის საქმის გარდა, სხვაშიაც მნი-



შვნელობა ჰქონდა. მაგალითებრ, ხე-
ვის-ბერობა ხომ «ლაშქართ თავა-
დობა» იყო. როდესაც თითონ ხევის-
ბერს ავადობის გამო სალაშქროდ გა-
მოსვლა არ შეეძლოი, „ლაშქრობის

ჟამს მისი ძმა და მოახლე წავიდეს“ (მუხ. კ), ე. ი. ოჯახის შვილი, თუ არა-და – გვარის კაცი. მოხელეობა სავალდებულო იყო ოჯახისა და გვა-რისათვის, და თუ ხევის-ბერი უმიზე-ზოდ ჯარში არ გავიდოდა, მაშინ ხევის-ბირობასა და მამულს ჩამოართ-მევდნენ ერთის წლით.

საზოგადოდ ძეგლის დება სასტიკად სჯის ყველას, ვინც-კი უარს იტყო-და ლაშქრობაზედ. არც საკვირველია. სახელმწიფოსათვის ხშირად საჭირო იყო მთიულების განთქმული ვაჟკა-ცობა, გულადობა. მაგრამ მთიულს ერთი ნაკლიც სჭირდა: ურჩი იყო, გალაღებული და იქნება ხანდახან საერთო მტერსაც გულცივად ეკიდე-ბოდა. ამიტომაც ძეგლმა დააწესა, რომ თუ ვინიცობაა ხევი, სოფელი, ერის-



თავისა და გამგებლის სიტყვაზედ, სა-

ლაშქროდ არ გამოვიდეს, ყველა
კომლს თითო ხარი წაართვით და ერ-
თის წლით მამული სასეფეოდ დადე-
თო (მუხ. ით).

## VII

მართალია, ხევისბერს საკუთარი
ციხე ჰქონდა, მაგრამ განსაკუთრებუ-
ლი ციხის თაობაც არსებობდა. აქ სა-
ჭიროა ვიცოდეთ იურიდიული ბუნე-
ბა ამ მოხელეობისა. რადგანაც ცი-
ხისთავის ასპარეზი მცირეა, ვიდრე
ხევის-ბერისა, ამიტომ სისხლიც ცო-
ტა სდის, მარტო სამი ათას ხუთა-
სი თეთრი ეურვება; მაგრამ სისხლის
დაურვებას გარდა, ჩვეულებისამებრ,
სხვა სასჯელიც იყო: სამ წლით გარ-
დახვეწა და მამულის წაღება. მხო-
ლოდ გაკვრით და ისიც ორიოდე
სიტყვით მოხსენებულია, რომ ციხის
თაობაც საზოგადო მიმართულებას ად-
გა, ე. ი. ციხის თავის ოჯახსა და

გვარს განსაკუთრებული ღირსება ჰქონ-
და. მაგალთად, ციხის თავის შვი-



ლისა ან ძმის მოკვლაში ათას ორასი
თეთრი უნდა გადაეხადა დამნაშავეს.
სამ წელიწადს გარდახვეწილიყო და
მამული ხაზინას «ეჭამა» (შეადარე
მუხ. იდ და ია). ესეთი სასჯელი გა-
ჩენილი იყო ეგრედ წოდებულ ჰაერო-
ვანისათვის ,რომელიც იურიდიულად
უბირს კაცზედ მაღლა სდგას, მაშასა-
დამე, ციხის თავის შვილი და ძმა
ღირსებით განირჩეოდნენ... მაშინა-ც
კი, როცა ციხის თავს თანამდებობა
აღარ ებარა, მისი სისხლი მაინც ბევ-
რი ღირდა – ათას ორასი თეთრი, სწო-
რედ იმდენი, რაც ჰაეროვანს ჰქონ-
და დანიშნული.

ციხისთაობა სხვაა და ციხის ქონე-
ბა კიდევ სხვა. ბევრს ჰქონდა საკუთა-
რი ციხე, მაგრამ ციხისთავი კი არ

იყო. ეს სახეში უნდა ვიქონიოთ, როცა ძეგლის დება ციხის დაქცევას მოგვითხრობს. ციხის დაქცევისათვის დამნაშავეს უნდა დაეურვა პატრონისათვის ნახევარი სისხლი „გვარსა ზედა“ და ციხეც ახალი აეგო (მუხ. კზ).

– 58 –

მაგრამ ჩვენ ჰაეროვანს უნდა მივმართოთ.

საკუთრად და განსხვავებულად იხსენიება ჰაეროვანი, რომელიც ცალკე სდგას, არც ერთს მოხელეობას არ ასრულებს, მაგრამ მდაბიო ხალხისაგან-კი გაირჩევა. ჰაეროვანი თავისის სისხლით და მაშასადამე იურიდიულად აღემატება უბირს კაცსა, სოფლელსა – «სოფლიონსა», „ვინგინდავინას“. იგი როდი ნიშნავს „ერისკაცთაგანს“ – „изъ числа народа“, როგორც შეცდომით განმარტებს დიაღ ღრმა და საფუძვლიანი მცოდნე ჩვე-

ნის ისტორიისა [36]), არა, – ჰაეროვა-
ნი სწორედ „отличнѣйшій“-ია რა-
საც უარს-ჰყოფს ბ-ნი დ. ბაქრაძე.

---

[36]) ბ-ნი დ. ზ. ბაქრაძე ამბობს, რომ სი-
ტყვა „ჰაეროვანი“ უნდა გადაითარგმნოს
„изъ числа народа“ და არა –„отличнѣй-
шій „изъ числа народа“, Сбор. зак. Вахт.,
стр. 86, სხოლიო I. მაშასადამე, ავტორს
ჰგონია, რომ ჰაეროვანი „отличнѣйшій изъ
народа“ არა ყოფილა.



ჯერ ერთი ისა, რომ სიტყვა „ჰაეროვ-
ნება“ ისეთს ცნებას შეიცავს, რომე-
ლიც ყველა კაცს არ მიეწერება [37]).
გარდა ამისა, თვით ძეგლის დება, არა
თუ მარტო იურიდიულად, პოლიტი-
კურადაც ჰაეროვანს მაღლა აყენებს
უბრალო კაცზედ. მაგალითებრ, ძეგ-
ლის წინასიტყვაობაში პირდაპირ მოხ-
სენებულია, რომ საზოგადო კრება-
ზედ, როცა სახელმწიფო საქმის შე-

სახებ თათბირი იყო, მეფე ჰაეროვან-
თაც მოუწოდებდა ხოლმე – „მოვა-
სხენით ყოველნი უნებურნი ხევის-ბერ-
ნი და ჰაეროვანნი და გავიგონეთ მათ-
ნი საქმენი “... ,,შემოვედით ქალაქსა
და შემოვიტანეთ (თუ შემოვიყვანეთ?)
თემისა და თემის ერის თავნი და ხე-
ვის-თავნი და ხევის-ბერნი და ჰაერო-
ვანნი“... ჰაეროვანს უფლება ჰქონდა
სამეფო თათბირსა და ბჭობას დასწრე-

---

[37]) როგორც საბა-სულხან ორბელიანი
განმარტებს, სიტყვა „ჰაეროვნება“ ნიშნავს
კ ე თ ი ლ -მ ო ხ დ ო მ ი ლ ე ბ ა ს .



ბოდა და ამ უფლების ძალით გიორ-
გი ბრწყინვალემ „ჰაეროვანნიც მოასხ-
ნა“. სიტყვა „ჰაეროვანი“ საზო-
გადოდ ერს რომ ნიშნავდეს, მაშინ
ხომ მთლად მთიულების ჩამოყვანა
იყო საჭირო სატახტო ქალაქს ტფი-
ლისში, მაგრამ მხოლოდ მოხელენი

და „წარჩინებულნი“ შეჰკრიბეს და სწორედ ეს უკანასკნელნი იწოდებოდნენ ჰაეროვანებად.

თვით ჰაეროვანის იურიდიული თვისება უფრო მეტად ასაბუთებს ჩვენს აზრს. მართალია, ძეგლის დება, როცა ჰაეროვანს იხსენიებს და იმის სისხლს აფასებს, არ ხმარობს ჩვეულებრივს ფორმულას „გვარსა ზედა“, მაგრამ ამ ფორმულის გამოტოვება კიდევ იმას არ ამტკიცებს, ვითომ ჰაეროვანი უბრალო „სოფლიონი“ იყო და „ვინგინდავინა“. არა, – თვით ძეგლის სიტყვით, ჰაეროვანი სოფლიონს პირდაპირ უდგია და თუმცა სოფელში სცხოვრობს, მაგრამ სოფლიონი-კი არაა: როცა სოფელი



სალაშქროდ არ გამოვიდოდა, სხვათა შორის, კომლზე თითო ხარი იყო ჯარიმა, – «ესე ჰაეროვნისა და სოფ-

ლიონისა იყოს» (მუხ. ით). ჰაერო-
ვანი და სოფლიონი ცალ-ცალკე იხ-
სენებიან და მაშასადამე კიდეც გან-
სხვავდებიან. ამიტომაც ზოგიერთს
შემთხვევაში ჰაეროვანი სახელმწიფო
საბჭოს – დარბაზს ექვემდებარებოდა.
როცა ჰაეროვანი ჰაეროვანს მო-
ჰკლავდა... „თუ დარბაზისა ცნობისა
ღირსი იყოს იგი ჰაეროვანი... დარბაზს
იკითხონ“ (მუხ. ია). დარბაზს უბრა-
ლო კაცის, „სოფლიონისა“ ანუ
„ვინგინდავინას“ საქმე როდი ეკით-
ხებოდა და ეს არც მოხსენებულია.
ამ გვარის კაცის დანაშაულობას ადგი-
ლობრივნი მოხელენი ჰბჯობდნენ. ასე
გასინჯეთ, ჰაეროვანის ყველა დანა-
შაულებაც-კი არ ეკითხებოდა დარ-
ბაზს და მხოლოდ მძიმე საქმეს თუ
მოახსენებდნენ.

ვინ იყო ჰაეროვანი? – ძეგლის დება
პირდაპირ არ განმარტებს ამ საგანს,

მხოლოდ მცირე ცნობას გვაძლევს, რომ ჰაეროვანი წარჩინებულია და „სიკეთით“ შემკული თავის სოფელ-ში, თემში. ჰაეროვანის თვისების სა-ცოდნელად საჭიროა არ დავივიწყოთ, რომ ჩვენი ძველი სამართალი თვით გლეხობაშიც პირადს ღირსებას პა-ტივსა სცემდა, „სიკეთით“ შემკულს გლეხს სხვა გლეხებზედ მაღლა აყენე-ბდა, თუმცა-კი საზოგადოდ ყველა გლეხი ერთს წოდებას შეადგენდა. აღბუღას სამართალო, მაგალითებრ, სისხლის დაურვების დროს ყურადღე-ბას აქცევს გლეხის „სიკეთესა“: უბ-რალო გლეხის სისხლი ღირდა ოთ-ხასი თეთრი, ხოლო ისეთის გლეხისა, რომელსაც „პატრონი იცნობდა სი-კეთესა ზედა“ – ათასი თეთრი (მუხ. იბ).

ეს იურიდიული დაწესებულება მარ-ტო ჩვენის ცხოვრების საკუთრება რო-დია. ჩვეულებრივი მოვლენაა, რომ პირვანდელის ფორმის საზოგადოება-

ში და აგრეთვე მაშინ, როცა ყველანი
უმეტ-ნაკლებად სწორნი არიან, ერ-



თი რომელიმე ოჯახი, ან რამდენი-
მე კაცი თავისის ძალ-ღონით, ღირ-
სებითა და სიკეთით სხვებზედ მაღლა
სდგანან. ასე იყო სახელდობრ თვით
ტევტონების დემოკრატიულ მარკა-
ში [38]). კერძოდ ჩვენს მთაში, თუმცა
იურიდიულად წოდებრივი განსხვავება
არ არსებობდა და როგორც ეხლა,
ყველა მკვიდრნი თანასწორნი იყენენ,
მაგრამ თითო-ოროლა ოჯახი, რამ-
დენიმე კაცი განირჩეოდა სხვებისა-
გან, „სიკეთითა“, განსაკუთრებულის
ღვაწლითა სამშობლოსა და სოფელ
წინაშე. აქა-იქ მოიპოვებოდა გვარი
და ოჯახი, რომლის წინაპრებს დაუ-
ვიწყარი სამსახური გაეწიათ თემისა-
თვის თავიანთის ვაჟკაცობითა, „ჭკუ-
ათ-მყოფლობითა“ და სხვ. ხალხი

დიდს პატივსა სდებდა ისეთს გვარსა და ოჯახს, საკუთარის ღირსებით ამკობდა. და რადგანაც თვით სიტყვა –

---

[38]) Деревенскія общины, Мэна, ст. 84 и др.



«ჰაეროვანი» კეთილ-მოხდომილია, ამიტომ ხალხიც თავის წარჩინებულებს ჰაეროვნებად რაცხდა: „სიკეთე“, კეთილი დაუთესნიათ თქვენ წინაპრებსა და კეთილ-მოხდომილნი ხართო...

რა-კი ჰაეროვანი უბრალო ერის კაცისაგან განსხვავდებოდა, სისხლიც მეტი სდიოდა, – თუ ჰაეროვანმა მოჰკლას ჰაეროვანი, ათას ორასი თეთრი დაუურვოს, სამი წელიწადი გარდიხვეწოს და მამული სასეფეოდ წაეღოსო (მუხ. ია). ასეთივე სასჯელი უნდა გარდაეხადა ხევის-ბერს, როცა ჰაეროვანი „ეფათერაკებოდა“, თუ უსაბედად შემოაკვდებოდა ეს უკანას-

კნელი (მუხ. იბ). ძეგლის დებაში მოხ-
სენებული არ არის რამდენი ღირდა
«სოფლიონისა», „ვინგინდავინას“ სის-
ხლი. მხოლოდ ნაჩვენებია საზოგადო
ფორმულა „გვარსა ზედა“ და იგი
ფორმულა ხომ ნიშნობლივ არ ამ-
ბობს, ამდენი დაეურვოს დაზარალე-
ბულსაო. ჩვენის აზრით, ძეგლმა უბ-
რალო „სოფლიონის“ სისხლი თვით



ადგილობრივ ბჭეებს მიანდო, ადათსა
და ჩვეულებას გარდასცა ეს საქმე,
მხოლოდ ერთის პირობით: „სოფლი-
ონს“, როგორც ყველას სხვას, სისხ-
ლი დაეურვოს „გვარსა ზედაო“...
ამიტომაც არა სჩანს, რომ სახელ-
დობრ ესა-და-ეს უნდა მიეცეს „სო-
ფლიონს“ სისხლის ფასშიო. ეს გა-
რემოება, სხვათა შორის, ცხადად ამ-
ტკიცებს, რომ «სოფლიონი» იური-
დიულად ყველაზედ დაბლა იდგა, შე-

დარებით ყველაზედ ცოტა სისხლი სდიოდა, თორემ ასე რომ არა ყოფილიყო, კანონი პირდაპირ მოიხსენიებდა „სოფლიონისა“ და „ვინგინდავინას“ ამდენი სისხლი უნდა დაეურვოსო. ამიტომ შეუძლებელია განვმარტოთ – თუ რამდენად აღემატებოდა ჰაეროვანი „სოფლიონსა“. ეჭვს გარეშეა მხოლოდ ის, რომ ჰაეროვნობა ცალკე იურიდიულს წყობასა და ჯგუფს წარმოადგენდა. ჰაეროვანი უბრალო კაცი არ იყო და განსაკუთრებული სისხლი სდიოდა.

– 66 –

ამ დედა-აზრის დასამტკიცებლად სხვა საბუთიც მოიძებნება. ეს საბუთი ეგრედ წოდებული არზანგობაა, რომელსაც ქართულ სჯულ-მდებლობაში საკუთარი მნიშვნელობა აქვს. არზანგობა, არზანგი შეადგენდა განსაკუთრებულს გარდასახადს, რომელიც

დამნაშავეს უნდა ეზღო დაზარალე-
ბულისათვის. მართალია, ზოგიერთ
ბოროტ-მოქმედებისათვის საჭირო იყო
სისხლის დაურვებას სხვა ჯარიმაც
ზედ დართოდა, ანუ, როგორც აღ-
ბუღას სამართალი ამბობს, „სისხლს
ემატოს“ (მაგალითებრ, ვისმეს
მღვდლის ცოლი რომ შეეყვარებინა,
დამნაშავე მოაშიკეს, სისხლს გარ-
და, „სამოცი ათასი თეთრი სხვა
ემატოს“ (აღ. მუხ. რვ; აგრეთვე რე).
მაგრამ არზანგი «მეტი ჯარიმა» რო-
დია, იგი სხვა მნიშვნელობისაა და
ცოტა არ იყოს მიაგავს იმავე აღბუ-
ღას საპიროსა (აღ. მუხ. რდ, რდა).
როგორც საპირო განსაკუთრებული
ჯარიმა იყო პიროვნების შეურაცყო-



ფისათვის დაწესებული და საზოგადო
ფორმულას მისდევდა, „გვარსა ზედა“
მოქმედებდა, ისე ძეგლის დების არზან-

გობასაც თავისი მნიშვნელობა ჰქონ-
და, განსაკუთრებული ჯარიმა იყო
და სწორედაც ნათარგმნია სიტყვით
„за обиду“ [39]). არზანგობას საერთო
არა აქვს რამხოლოდ სანახშიროსთან
(აღ. მუხ. რ‹ბ), რომელიც ნიშნავს
„საზავო სანდოს“ [40]). ძეგლის-დების
სიტყვით, არზანგი სხვა-და-სხვაა აზ-
ნაურისა, ხევის-ბერისა და ჰეროვანი-

---

[39]) Сбор. зак. Вахт., გვ. 91. ბ-ნი ბა-
ქრაძე სხოლიოში სიტყვას არზანგი სთარ-
გმნის вознагражденіе, თუმცა ეს უკანანას-
კნელი სულ სხვაა და არც „за, обиду“-ს
ნიშნავს. არზანგი საბა სულხან ორბელია-
ნის ლექსიკონში არ იპოვება. „წერა-კითხვის
საზოგადოების" ხელთ-ნაწერებში შეცდომით
იხსენიება უ ა რ ზ ა ნ გ ო ბ ა  არზამგისა და
არზანგობის მაგიერ.

[40]) როცა მესისხლენი დაზავდებოდნენ,
სისხლის გარდახდამდე ფასს რასმე მისცემ-
დნენ და სანახშირო იმ ფასს ერქვა, ის. ს.-ს.
ორბელიანის ლექსიკონი.

სათვის, „უფროსობასა“ და «უმცროსობაზე» დამყარებულია. როცა სისხლის რაოდენობასა და არზანგობას შევაფარდებთ, მაშინ ჰაეროვანის არზანგი ხუთჯერ ნაკლებია აზნაურისა და ხევის ბერისაზედ. თვით სისხლიც ჰაეროვნისა სწორედ ამოდენად ჩამოურჩებოდა აზნაურისა და ხევის-ბერის სისხლსა სოფლიონი-კი, უბრალო კაცი, მოკლებული იყო. არზანგსა. ერთის სიტყვით, არზანგობა წოდებრივსა და პიროვნულს ღირსებაზეა დამოკიდებული და სისხლთან შეფარდებულია. დაბალ წოდებაში იგი მარტო ჰაეროვანს აქვს მინიჭებული. რადგანაც ასეა, თვით ჰაეროვანიც უბრალო სოფლიონს და ვინგინდავინაზედ მეტია, სისხლითა და ღირსებით მათ აღემატება.

ერთი გარემოებაც, რომელიც ზემოდ მოკლედ აღვნიშნეთ, უფრო მეტად ასაბუთებს ჩვენგან განმარტე-

ბულს ჰაეროვანებასა. ჰაეროვანი სისხ-
ლით უდრიდა ციხის თავად ყოფილსა



და ეს უკანასკნელი ხომ განსაკუთ-
რებულის უფლებითა და პატივით იყო
აღჭურვილი. როგორც ჰაეროვანისა,
ისე ციხის-თავად ყოფილის სისხლი
ათას-ორასი თეთრი ფასობდა (მუხ.
ია, იდ). დიაღ, ჰაეროვანი ნამდვილად
განსხვავდებოდა უბრალო მთიულისა-
გან და «отличнѣйшій изъ наро-
да» იყო!..

ძეგლის დება სხვა განსხვავებასაც
ჰპოვებს გლეხთა შორის. მთიულებში
ეხლაც განთქმულია სალოცავი ლო-
მისის წმინდა გიორგისა, რომელიც
თვით გიორგი ბრწყინვალემ ილოცა.
მთელი მთა დიდის სასოებითა და მო-
წიწებით შევედრის ამ წმინდა და
საღმთო სადგურს. ძველ დროში ლო-
მისის ეკკლესიას შეწირული ყმები ჰყავ-

და და რადგანაც იგი ეკკლესია დიდად პატივცემული იყო, ამიტომ მისი ყმაც თავისის სისხლითა და ღირსებით სხვა მკვიდრთაგან განირჩეოდა. ასე გასინჯეთ, ლომისის გლეხი თვით ჰაეროვანზედაც მაღლა იდგა



და სისხლში ათას-ხუთასი თეთრი ეურვებოდა, ე. ი. სამასის თეთრით მეტი (მუხ. მბ).

## VIII

ძეგლის წინასიტყვაობაში მოხსენებულია, რომ, სხვა-და-სხვა ბოროტმოქმედებას გარდა, ხშირი იყო აგრეთვე „ცოლის წაგვრა და უბრალოდ დაგდებაო“. თვით ეს გარემოებაც მიზეზად დაედო ძეგლის დადებას. ამიტომ ცოლ-ქმრობასა და საზოგადოდ საოჯახო წეს-წყობილებას მიქცეული

აქვს ჯეროვანი ყურადღება.

ძეგლის ცოლ-ქმრობას ცხადად ეტ-ყობა ორგვარი ხასიათი. სჩანს, რომ საეკკლესიო მოძღვრებას გზა გაუკვ-ლევია ოჯახში, მაგრამ ამ მოძღვრე-ბას მედგრად ებრძვის მეორე, სულ სხვა მიმართულება, რომლის აზრით ქორწინება უბრალო ხელშეკრულე-ბაა და არა „საიდუმლო“... ეკკლესიი-საგან უარყოფილი და დევნილი წარ-მართული ცოლ-ქმრობა ხომ ბუნებ-რივი სოციალოგიური მოვლენა და



ძველი ჩვეულებაა. ამიტომ ძეგლის სა-ცოლქმრო წყობილებასაც ღრმად დასჩნევია ამისი კვალი. რადგანაც ასეა, ძეგლის მდებელი, რასაკვირველია, ამა-ოდ სჩივის, რომ ცოლის „უბრალოდ დაგდება“ და „ცოლის წაგვრა“... „დიდი უსამართლო და მძლავრებული ქმნილ იყო“... საქმე იმაშია, რომ რო-

გორც პირველი, ისე მეორე მაშინდელის ცხოვრების მიუცილებელს მოვლენას შეადგენდა და ლოგიკური შედეგი იყო იმ დროინდელის საცოლქმრო და საოჯახო ვითარებისა [41]). ძეგლის

---

[41]) ძეგლის „ცოლოს უბრალოდ დაგ-დება" სრულიად მიაგავს მაჰმადიანთა თ ა - ლ ა ქ ს (талакъ). თალაქი უარის თქმაა, სამჯერ გამეორება სიტყვისა „არა მსურს“... თალაქის ძალით, ქმარს, როცა ეპრიანება, ყოველთვის შეუძლიან ცოლი „უბრალოდ“, უდანაშაულოდ გააგდოს, მხოლოდ მ ე ხ - რ ი უნდა მისცეს. ეს მეხრიც ძ ე გ ლ ი ს «სისხლს» უდრის და წინადვე გადაჭ-რილი ფასია, რომელიც გაგდებულს ცოლს უნდა მიეცეს Фанъ денъ Бергъ, стр. 111 – 112. მაგრამ აქედამ კიდევ არ შეი-



მდებელმაც სრულიად ვერ აღმოფხვრა და ვერ აღმოჰკვეთა „უბრალოდ შეუ-ცოდარის ცოლის დაგდება“, არა, – სჯულ-მდებელმა ნება-უნებურად ცო-

ლის უბრალოდ დაგდება იწამა და შეინდო, მხოლოდ ერთის პირობით: ვინც უბრალოდ შეუცოდარს ცოლს გააგდებს, ნახევარი სისხლი უნდა დაუურვოს „გვარსა ზედაო“ (ძ.-დ. მუხ. კა. ამ მუხლის გამეორებაა შემდეგი, ოც-და მეხუთე მუხლიც, კე.) მაშასადამე, ძეგლმა სხვა შემწეობა ვერ გაუწია დიაცს, მხოლოდ სისხლი გაუჩინა, ე. ი. სწორედ ისა, რაც უიმისოდაც ჩვეულება და ადათი ქალს აკუთნებდა გარეშე მეზობლობაში [42]). მეორე უძველესი

---

ძლება დავასკვნათ, რომ ძ ე გ ლ მ ა  გადმოიღო „უბრალოდ დაგდება“ ყურანიდამ, არა, – იგი დაგდება ძველი ჩვეულებაა, ადათია და თითქმის ყველა მთის ხალხს მოეპოვება.

[42]) ეგრედ წოდებული ჩერქეზების ყ ა ლ ი მ ი , აზნაურის ცოლისთვის ას ოცი

ჩვენი სჯულიც აღბუღას სამართალი, რასაკვირველია, ძეგლის განჩინებას მისდევს, – ცოლის უმიზეზოდ და უბ-რალოდ დაგდება შეიძლებაო, მხო-ლოდ საჭირო კია ნახევარი სისხლი მისცეთ და მზითევიც თან გაატანოთო. (მუხ. ლ). ერთის სიტყვით, ორივე უძველესი სჯულ-დება მხოლოდ სა-ზოგადო ჩვეულებასა და ადათს ადგია, როცა ცოლის დაგდებას მოგვითხ-რობს.

დაგდებას გვერდით უდგია ეგრედ წოდებული „წაგვრა“, ცოლის მო-ტაცება. როგორც დაგდებას, ისე წაგვრას ერთი და იგივე სოციალო-გიური საფუძველი აქვს, ორივე დაწე-სებულება ერთის სათავისაგან მომ-დინარეობს. საქმე იმაშია, რომ ძველ დროს ცოლის შერთვა მოტაცებით

---

თუმანი, გლეხის ქალისათვის სამოცი თუ-მანია. ოსებში ქმარს შეუძლიან, როცა სურს, გააგდოს ცოლი, მხოლოდ ნახევარი უ რ ა - დ ი  უნდა მისცეს, Адаты, 1, стр. 172; II,

стр. 27, § 102 და სხ.



შეიძლებოდა და მოტაცება კიდევ საყოველთაო ჩვეულებას შეადგენდა. ჩვეულებისა და ადათის დაგვარად, თვით მოტაცება სხვა-და-სხვა გზით იცოდნენ, – იტაცებდნენ ფარულად და ქალსის ნება-დართვით, თუ არა-და – დასხმით, ძალადობით [43]). ძეგლის დების ცოლის წაგვრა სწორედ ამ მოტაცების ნაშთია, მისი გამეორებაა, თუმცა სჯული მარტო ქმრიან ქალის წაგვრას იხსენიებს. რა-კი ერ-

---

[43]) მაგალითებრ, ჩერქეზები ფარულად იტაცებენ ქალისავე თანხმობით; მოტაცება სავაჟკაცო და საქებური საქმეა, Адаты, 1, стр. 134 – 135, § 41,42. ყაბარდოში დასხმჩთ, ib 226, § 12; ოსებში მოპარვა იციან, АД. II, 5, § 19 და სხ. მოტაცება პირვანდელი ფორმაა ქორწინებისა და საზოგადო მოვლენას შეადგენს. შემდეგში ნა-

მდვილი მოტაცება ისპობა და მის მაგიერ სიმბოლიური მოტაცება სჩნდება; ამის შესახებ ნახე „Начало цивилизаціи“, Д. Леббока, стр. 75 – 85, სადაც, სხვათა შორის, მოყვანილია ჩერქეზების სიმბოლიური მოტაცება.



თხელ ჩვეულებამ დააწესა, მოტაცება საბუთია ცოლის შერთვისა და შერთვას ნიშნავსო, ქმრიანის ქალის მოტაცებაც ადვილი შეიქმნა და ხშირიც იყო. მაგრამ თუმცა საზოგადოდ უქმრო და ქმრიანის ქალის მოტაცებას ძველი ადათი ესარჩლებოდა, კანონმა-კი სასტიკი ყურადღება მიაქცია ცოლის მოტაცებას, რადგანაც ეკკლესიამ ქორწინება თავის საკუთარ საქმედ ცნო და ცალკე ცოლ-ქმრობის მოძღვრება დააწესა.

ძეგლი დებაც, როცა წაგვრას გვიამბობს, მხოლოდ „გვირგვინ ნაკურთხს“ ცოლს იხსენიებს და „ჯვარ-გაცვ-

ლილს“. გვირგვინ-ნაკურთხი კანონი-
ერი ცოლია, ეკკლესიის წესით შეუ-
ღვლილი და ამიტომ მისი წაგვრა
დიდ დანაშაულობად ითვლება. ვინც
სხვას ვისმე ასეთს ცოლს მოსტაცებს,
თუნდაც ჯერ მოტაცებულს დიაცს არ
შეხებოდეს, „არ შეყროდეს“, მაინც
ქმარს ნახევარი სისხლი უნდა დაუურ-
ვოს „გვარსა ზედა“ (ძ.-დ. მუხ. გკ).



თუმცა ჯვარ-გაცვლილ დიაცს ჯერ
კიდევ ცოლი არ ეთქმის და იგი მხო-
ლოდ დანიშნული და დაწინდულია, მა-
გრამ ძეგლი იმის წაგვრასაც კაცს ბრა-
ლადა სდებს და ამ ბოროტმოქმედე-
ბისათვის ჯარიმად სისხლის მეექვსედს
ახდევინებს, რასაკვირველია, „გვარსა
ზედა“ (მუხ. კდ). მაშასადამე, ჯვარის
გაცვლა, ნიშნობა ნამდვილი იურიდი-
ული პირობა იყო და სავალდებუ-
ლოდ ითვლებოდა მომავალ ცოლ-

ქმრობისათვის. საზოგადოდ ასეთი მნი-
შვნელობა ჰქონდა ძველს ქართულს
ნიშნობას და მხოლოდ სულ ბოლოს,
უცხო სჯულის გავლენის გამო, გარ-
დაიქცა იგი უბრალო და უმნიშვნე-
ლო ფორმად. უეჭველია, რომ აღ-
ბუღას სამართალსაც ნიშნობა სავალ-
დებულო პირობად სწამდა, თუმცა ისე
სასტიკად არა, როგორც ძეგლის დე-
ბას. აღბუღას სიტყვით, „ჯვარ გა-
ცვლილ საცოლეს“ წაგვრისათვის და-
მნაშავეს სისხლი-კი არ უნდა გარდა-
ეხადა, ცოტა რამე უნდა მიეცა გულ-



ნატკენ დანიშნულისათვის, რათა მტრო-
ბა არ აღიძრასო (მუხ. მ).

შავსა და ბნელს სურათს წარმო-
ადგენდა ცოლის წაგვრა. თითქმის
არც ერთი ბოროტმოქმედება არა
ჰბადავდა ისეთს სასტიკსა და მედგარს
მტრობას, როგორც წაგვრა. ჯერ ერ-

თი, რომ დამნაშავეს სრული სისხლი
უნდა დაეურვა. მაგრამ ეს არა კმა-
როდა: „ცოლ-წაგვრილს“, მთელის
წლის განმავლობაში, სრული ნება
ჰქონდა ყოველ გვარი ავ-კაცობა და
ბოროტი მიეყენებინა წამგვრელისა-
თვის, – თავს დასხმოდა, დაერბია, გა-
დაეწვა... თითქო ესეც ცოტა იყო
და შეურაცხყოფილს ქმარს მეორე წე-
ლიწადსაც ნება ეძლეოდა შური ეგო
მტრისათვის, – „ერთს წელიწადს უკან
რას ემტერების, იგიც მიეფერების“,
მხოლოდ იმ პირობით, რომ მაშინ
მარტო «ნახევარ სისხლის დაურვება
მართებს»... (ძ.-დ. მუხ. კბ). საყურა-
დღებო აქ ისაა, რომ შურისძიების
დროს, რაც უნდა ბევრი ზარალი და



ვნება მიეცა ცოლ-წაგერილს თავის
მტრისათვის, სისხლში მაინც არ ჩაუ-
ვარდებოდა. თუნდა მტერი კიდეც მოე-

კლა, მაინც არაფერი; მხოლოდ თუ ვისმე იმის ოჯახისას მოჰკლავდა, „სისხლი არასოდეს გაუცუდდების“, ე. ი. მოკლულის სისხლი უანგარიშეთ ცოლ-წაგვრილსაო.

შურისძიება ცოლის წაგვრის გამო ცალკე სდგას და მოქმედობს იმ დრომდე, ვიდრე სისხლი დაიურვება. სისხლის გარდახდის შემდეგ მესისხლეთა შორის მშვიდობა მყარდებოდა დაშურისძიებაც ისპობოდა. მაშასადამე, შურისძიება სისხლის დაურვებას წინ უძღოდა და განსაკუთრებულს მოვლენას წარმოადგენდა. მისი თვისება ითხოვდა სრულს სასტიკობას და სასტიკიც იყო, მაგრა ვადა, დრო ანელებდა და აცხრობდა ამ საშინელსა და შემაძრწუნებელს ენებათა ღელვას. შურისძიება მხოლოდ ორ წლამდე უნდა გაგრძელებულიყო და ეს შედარებით მოკლე

ვადა, რაც უნდა იყოს, ამტკიცებს, რომ ძეგლმა შეასუსტა და ძალა მოაკლო საშინელს მტრობას და ეს იმ დროსთვის ხომ თვალსაჩინო წინმსვლელო იყო [44]). რასაკვირველია, თუ დამნაშავე სისხლს მალე გარდაიხდიდა, შურის-ძიებას საბუთი არა ჰქონდა და თავის თავად ისპობოდა, თუ არა-და – ორის წლის მეტს მაინც ვერ გასტანდა. თუმცა ბუნება ყველა შურის-ძიებისა ისეთია, რომ ხშირად შურს იძიებს მთელი გვარი და ოჯახი, მაგრამ ძეგლის შურისძიება მარტო ცოლ-წაგვრილის საქმეა, მისი პიროვნული კუთვნილებაა. ქმარს გარდა, არც მოახლეს და არც მეყვისს,

---

[44]) ჩერქეზებში შურისძიება რამდენსამე თაობასა და საუკუნესაც-კი გასტანდა ხოლმე, Адаты, 1, стр. 165, V; ზოგიერ ადგილას ოსეთში სისხლის დაურვება სირცხვილად მიაჩნიათ და საშვილიშვილო შურისძიებას მისდევენ; ჩაჩნებშიაც შურისძიე-

ბას თითქო დასასრული არა აქვსო, Адаты, II, 28, § 109, 93, § 26.



არც გაყოფილს და არც გაუყოფარს ნება არა აქვს მტრობა გაუწიოს ცოლის წამგვრელს. ეს მეორე თვისება კიდევ უფრო ასაბუთებს ჩვენს აზრს, რომ ძეგლმა, ცოტად თუ ბევრად, მშვიდობის ნათელი მოჰფინა იმ ბნელეთს, რომლის უფსკრულში მხოლოდ მღელვარე შური და მძვინვარე მტრობა მოსჩანდა...

იურიდიულად შურისძიება შეიცავს ორს ნაწილს, ორს სხვა-და-სხვა საგანს. იგი სდევნის პიროვნებას (ეს დასხმაა). გარდა ამისა, აზრად აქვს დამნაშავეს ზარალი მისცეს, ქონებითა და მამულით ავნოს. ამას კერძოდ მტრობა ჰქვიან (მუხ. კბ, კვ). დასხმა და მტრობა ერთად სწარმოებენ, ერთად ვარჯიშობენ; შურის მეძიებელს ორისავე ნება აქვს, იმაზედ დამოკიდე-

ბულია,რა ირჩიოს, რომელს ღონეს მიჰმართოს, პიროვნებაზედ იძიოს შურ-რი, თუ მამულ-ქონებაზედ. რასაკვირ-ველია, დასხმა და მტრობა რომ უსას-ჯელოდ დარჩენილიყო, ჯერ ისევ



შერიგებისა და სისხლის გარდახდის ხსენებაც არ უნდა ყოფილიყო – „არც შეზავებულნი იყვნენ, არც დანდო-ბილ იყენენ, არც სისხლი აღებულ იყოს“... მხოლოდ მაშინ ცოლ-წაგვ-რილი „დამსხმელი არ არს“, დასხმა არაფერია, უშედეგოა.

მაგრამ, დასხმას გარდა, შურის ძიე-ბის დროს „შებმაც“ ხომ შეიძლე-ბოდა, – როცა მესისხლენი ერთმანეთს შეხვდებოდნენ და იარაღზედ მივარ-დებოდა საქმე. თუ გულ-დაკოდილი ცოლ-წაგვრილი მოჰკლავდა კაცო-ბისა და ქუდის ამხდელს, თავის შე-მარცხვენელს, სისხლის მაგივრად,

სულის შესანდობელი უნდა გარდაე-
ხადა და ამ შემთხვევაში «წირვისა
კათალიკოზმან და ეპისკოპოზმან გაუ-
ჩინონ», – სხვა არაფერი. თუმცა ეს
სააღაპო ხარჯი ანუსხული არ არის,
მაგრამ, ვგონებთ, აქაც სია „გვარსა
ზედა“ უნდა შემდგარიყო...

ჩვენ შევნიშნეთ, რომ ძეგლის დებამ
ცოტად მაინც დაამშვიდა ვნებათა



ღელვა, ალაგმა თავ-აწყვეტილი შუ-
რისძიებაო. ამას საჭიროებაც თხოუ-
ლობდა: გულის-შემაძრწუნებელსა და
აღმაშფოთებელს სურათს წარმოად-
გენდა ცოლის წაგვრა, საშინელს
მიხლა-მოხლასა და შუღლსა ჰბადავდა.
გაშმაგებული გრძნობა მზად იყო ყვე-
ლა შთაენთქა, ყველაფერი შეემუსრა
და ისე შეუნდობლად მრისხანებდა,
რომ თვით შეიარაღებულნი, «აბჯ-
როსანნი დიაცნი» მონაწილეობას

იღებდნენ მესისხლეთა ერთურთის შეხ-
ლაში, „შებმაში“. დიაღ, გულადი
და შეუპოვარი მთის მანდილოსანი
ქუდოსანთან ერთად ებრძოდა მეშუ-
ღლეს!.. დადუმება აღარ შეიძლებო-
და და ძეგლმაც მხოლოდ ერთი ღოს-
ნისძიება იხმარა, – იქმნება ამან მაინც
ბოლო მიუღოს დიაცის კაპასობა-
საო. ...„თუ დიაცი მეომრად იყოს
და აბჯარი ჰქონდეს და მოკვდეს, გა-
ცუდდეს მის დიაცის სისხლიო“... ეს
იმას ჰნიშნავდა, რომ აბჯროსანი დია-
ცი ცოლის გამო ატეხილს შებმაში



ნუ გაერევა და თუ გაერია, მისი
მოკვლა არაფერია, სისხლი არ ეზ-
ღვებაო. ასე ეპყრობა ძეგლი დიაცს
„შებმისთვის“ და რამდენადაც ეს
მოპყრობა სასტიკია, მით ტკიცდება,
რომ იგივე სჯულ-დება სხვა შემთხვე-
ვაში მეტად ჰქომაგობს და მხარს

უჭერს ბრალ-დაუდებელ ქალსა, ასე
რომ „შებმის“ დრო ვინმე «უბრა-
ლო», უმანკო დიაცი რომ მოეკიდათ,
„ორი სისხლი დაიურვონ დიაცისა-
თვისო“ (ძ.-დ. მუხ. კვ).

თითქო დიაცთა მოკვლითაც არ
თავდებოდა თავს ზარ-დამსხმელი „შებ-
მა“. თუ „შებმისთვის“ არა, „შებმის“
დროს მაინცს ჭრიდნენ, ან ჰკვლიდნენ
მღვდლებსა და ბერებსა, ასე გასინ-
ჯეთ, თვით მონოზნებსაც-კი. ეს ალ-
ბად იმიტომ, რომ „შებმას“ საშინე-
ლი სისხლის-ღვრა მოსდევდა და საა-
ქაო ბოროტის მდევნელნი ვალად
ჰრაცხდნენ შუღლი მოესპოთ, მესის-
ხლენი გაეშველებინათ. მაგრამ, სამ-
წუხაროდ, შურისძიების ზვირთი ხში-



რად ჰღუპავდა თვით ღვთის-მოსავ-
თაც. მხოლოდ ამ უკანასკნელთა სა-
სარგებლოდ „გვარსა ზედა“ ორ-კე-

ცის სისხლის დაურვება თითქო ჰღაღა-
დებდა, რომ ააფთრებულ შურისძიების
წინაშე ყველა ღონისძიება ამაო და
ფუჭი არისო!..

## IX

სადაც ცოლის წაგვრა ჩვეულებრივს
მოვლენას შეადგენდა, იქ საცოლ-
ქმრო კავშირი და ურთიერთობა განვი-
თარებული არ იქმნებოდა. სწორედ
ასეც იყო. ძეგლის დება ორიოდე ცნო-
ბას თუ გვაძლევს საცოლ-ქმრო და-
მოკიდებულებისას, თორემ სხვას არა-
ფერს. ორიოდე ცნობაც მხოლოდ
ეგრედ წოდებულს სასაპყროს [45]) შეე-

---

[45]) როცა ვისმე ქმარს მოუკლავდნენ,
ქვრივს ქმრის სისხლისაგან რაიმე ნაწილი
უნდა რგებოდა თავის სარჩენად. ამ ნაწილს
ს ა ს პ ა ყ რ ო ეწოდებოდა. შეცთომით უწოდე-
ბენ ს ა ს ა პ უ რ ო ს , მაგ. დ. ბაქრაძე – „სა-
საპურო მიეცეს მალისა (თუ ძალისა?) მსგავ-
სად"... Сбор. зак. Вахт, стр. 88, სხო-

ლიო.



ხება. ცოლ-ქმრობის იურიდიული და ზნეობითი სურათი თითქოს დავიწყებულიაო და ამიტომ ძნელია ამ სურათის წარმოდგენა. მაგრამ ანალოგიას თუ მივმართეთ, შეიძლება ცოტად მაინც შევიგნოთ ცოლ-ქმრის ურთიერთი დამოკიდებულება. საქმე იმაშია, რომ როცა რომელიმე ერი მოქალაქობას მოკლებულია, მაშინ ოჯახში ცოლი შედარებით დაბლა სდგას ქმარზედ, სხვა-და-სხვა უფლება ჩამორთმეული აქვს და უმეტეს ნაწილად ქმრის მონაა. ეხლაც, მაგალითად ჩვენს მეზობლებს, ცოლი თითქმის უბრალო ნივთად მიაჩნიათ; დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ქმარს შეეძლო ამ ნივთის გასყიდეა, ჩუქებაც [46]).

---

[46]) ჩერქეზებში ქმარს შეუძლიან ურჩი ცოლი სხვას მიჰყიდოს. ცოლს საოჯახო

ქონებისა არა ეკითხვის-რა, მემკვიდრეობას
მოკლებულიია, Адаты I. стр. 117, 140,
153, §§ 3, 69, 83, 85 etc. ოსებში ქმარს
რომ ლამაზი უშვილო ცოლი ჰყავდეს, სხვას
გარდასცემს, იქმნება შვილი შეაქნაო. ეს



რასაკვირველია, არც ქსნისა და არაგვის
დიაცი იქმნებოდა სანატრელს მდგო-
მარეობაში. ამას თითქო ძეგლის დე-
ბაც ჰმოწმობს, როცა ამბობს, რომ
მთიულის ცოლს ხელი მიუწვდებოდა
მარტო სასაპყროზეო... დიაცს საო-
ჯახო მამულში წილი არ ედო და, ასე
გასინჯეთ, ქმრის სისხლიც-კი ოჯახის
საკუთრებას შეადგენდა. მართალია,
ქვრივსაც რამე უნდა რგებოდა ამ
სისხლისაგან, მაგრამ თითონ ეს სა-
საპყრო როდი იყო გადაჭრილი და გა-
დაკვეთილი. შეიძლება ქვრივს ბევრ-
ჯელ სულ ცოტაოდენი ნაწილი შე-
ჰხვედროდა, რადგანაც „თუ მოკლუ-
ლის კაცის ცოლი დარჩეს და არ

გათხოვდებოდეს... სასაპყრო მიეცეს ძალისა მსგავსადო“... ოჯახზედ იყო დამოკიდებული, რასაც გაიმეტებდა სასაპყროდ, და, მაშასადამე, ქვრივი ისევ

---

ჩვეულება დიგორელებშია და ამას დუკა კუსსას უწოდებენ, Адаты II, стр. 37. § 46.



იმის მოწყალებას შესცქეროდა. ზოგჯერ სასაპყროს დარბაზი უნიშნავდა: „თუ დარბაზის ცნობის ღიას იყვნენ, დარბაზს იკითხონ და დარბაზით გაეჩინოსო“... ხანდახან-კი ერისთავი და გამგებელი უნიშნავდნენ (მუხ. იწ). ერთის სიტყვით, დიაცს, სასაპყროს გარდა, საოჯახო მამულისა არა ეკითხებოდა-რა და ეს გარემოება პირდაპირ ჰღაღადებს მის არა-სანატრელს მდგომარეობას...

საოჯახო ქონება ორად იყოფოდა: მამული (родовое) და ნასყი-

დი ( купленное, благопріобрѣтенное). მამული ეკუთვნოდა საერთოდ ოჯახს და კერძოდ თითოეულს წევრს და არა მარტო ოჯახის უფროსს, მაგალითად მამას. თუმცა ასე იყო, მაგრამ ოჯახს მამული მხოლოდ უნდა ეხმარა, ესარგებლა, საკუთრებას-კი (право собственности) ვერ შეეხებოდა. ეს საკუთრება სახელმწიფოს ეპყრა, რადგანაც ძეგლის მამული „საბატონოა“ და ბატონად კიდევ სახე-



ლმწიფო ითვლება. მამულს ზედ ედო „ბატონის სამსახური“ და ვინც ამ „სამსახურზედ“ უარს იტყოდა, ხელს აიღებდა, იმას არც ნება ჰქონდა, მამული სჭეროდა. სამსახური სხვა-დასხვანაირი იყო, უფრო, რასაკვირველია, სალაშქრო... თუ ვინმე სამსახურს ვერ შესძლებდა, მამულიც უნდა დაეტოვებინა და აღარ ეხმარა. როცა, მაგა-

ლითად, მამა დაბერდებოდა და სამსა-
ხური არ შეეძლო, „ნასყიდი“ თითონ
უნდა დაეჭირა და „მამული“ შვილის-
თვის გარდაეცა – „მამამ ნასყიდი დაი-
ჭიროს და შვილმან მამულით გვმსა-
ხუროს“ (ძ.-დ., მუხ. ივ). მართა-
ლია, ძეგლი იმასაც ამბობს, რომ თუ
დაბერებულს მამას „ნასყიდი არ ეყო-
ფოდეს, მამულისაგანაც დაიზიარო-
სო“, მაგრამ ეს კერძო მაგალითი
სრულიადაც არ არღვევს მამულის
თვისებას, – რაც უნდა იყოს, მამულის
მფლობელობა მაინც სამსახურზე იყო
დამოკიდებული...

მეორე თვისება ძეგლის მამულისა



ისაა, რომ, ვიდრე „სალაშქრო და
საბეგრო“ არ მოისპობა, მამული
ოჯახის ხელშია, ვერც მამა და ვერც
სხვა ვინმე უფროსი ოჯახს ვერ გა-
მოსწირავს მამულს. საცა ოჯახია,

იქ მამულიც უნდა იყოს. ოჯახი კი-
დევ განცალკევებულსა და შემოზღუ-
დულს დაწესებულებას შეადგენდა.
რაკი ოჯახი ცალკე გავიდოდა, გაი-
ყრებოდა, მაშინ სამუდამოდ ჰკარგა-
ვდა ყოველგვარს ქონებრივსა და სა-
მამულო კავშირს სხვა ნათესავს ოჯა-
ხებთან. მართალია, მათ შორის სა-
გვარეულო დამოკიდებულება არ ის-
პობოდა, მაგრამ ყველა ოჯახის ქო-
ნება, სულ ერთია, მამული თუ ნასყი-
დი, თითქო ციხე-სიმაგრეში სდევსო,
ისე ხელ-უხლებლად მიაჩნდათ. უე-
ჭველია, რომ ქონების ასეთი თვისე-
ბა უარს ჰყოფდა ეგრედ წოდებულს
ანდერძს და ეს მით უფრო საყურად-
ღებოა, რომ კავკასიის სხვა მთის
ხალხი მეტად მისდევს ანდერძს, იმათ-
ში შირი ამბავია ქონების ანდერძით



გადაცემა. ოსებში, მაგ., მამას სრუ-

ლი ნება აქვს, ვინც ეპრიანება, იმას
გარდასცეს საგვარეულო თუ კეთილ-
შეძენილი მამული [47]). ეს ხომ ასეა,
მაგრამ ძეგლი ერთს სიტყვასაც არ ამ-
ბობს ოჯახის უფროსს ან რომელსა-
მე წევრს ნება აქვს თუ არა საოჯახო ქო-
ნება სხვას უანდერძოს, ოჯახს გარედ
გაიტანოს. არა, ანდერძი სრულიადაც
არ იხსენიება ძეგლის-დებაში. კიდევ
არაფერი, როცა მამულის ანდერძად
დატოვება არ შეიძლებოდა. მამული სა-
ბატონო იყო და არავის უფლება არა
ჰქონდა სხვის საკუთრება თავის ნება-
ზედ გარდაეცა, მაგრამ საქმე იმაშია,
რომ თვით „ნასყიდის“, ე. ი. შეძენი-
ლის ქონების ანდერძად დატოვებაც არ
არის მოახსენებული. ოჯახს რაც-კი რამე

---

[47]) Адаты II, 6, § 24. ჩერქეზებს
როგორც სიტყვიერი, ისე დაწერილი ან-
დერძი აქვთ და იმათი ანდერძი განვითარე-
ბულის ფორმისაა Адаты, I, 150, §§ 73 – 77,
თუმცა არც ის დავივიწყოთ, რომ მი-
წის საკთრება-კი არ იციან, ib. 120, § 12.

აქვს, საერთო კუთვნილებას შეად-
გენს და ძეგლი ნებას არავის აძლევს
ამ ქონებიდგან სხვას ვისმე, გარეშე
ოჯახის კაცს, ნაწილი უანდერძოს.
მხოლოდ ბეითალმალად დარჩენილი
პარტახტი მამული ებოძებოდა ხოლმე
გვარის კაცსა [48]). მაგრამ ბეითალმა-

---

[48]) რაკი საზოგადოდ მამული „საბატო-
ნო" იყო, რასაკვირველია, ბეითალმალად
დარჩენილი მამულიც (выморочное имѣніе)
სახელმწიფოს საკუთრებას შეადგენდა. სულ
სხვა აზრისაა ბ-ნი დ. ბაქრაძე – „что каса
Ется горскаго населенія Грузіи, то, по
смыслу 28 статьи „Зак" Георгя, въ
нетъ ничье право не существовало на
выморочное имѣніе, которое непремѣнно
переходило въ родъ умершего, либо въ
руки посторонняго... съ извѣстнымъ,
впрочемъ, обязательствомъ, Сб. Зак.
Вахт., стр. 90, სხოლიო 3. ჯერ ერთი,
რომ აქ წინააღმდეგობაა. თუ ბეითალმალ-

ზედ უფლება არავის ჰქონდა, მაშ არც
გვარსა და არც გარეშე კაცს უქნებოდა. მაგ-
რამ ასე ხომ არ იყო. მეორედ, კვ მუხლი-
დამ ცხადად სჩანს, რომ ერისთავი და გამ-
გებელი ბეითალმალს აძლევდნენ იმ პი-



ლად მამული მაშინ შეიქნებოდა,
როცა ოჯახი ამო წყდებოდა ხოლმე
და როცა „ოჯახს მემამულე აღარ
მიაჩნდა“...

როგორც შევნიშნეთ, გაყრილ
ოჯახებს, თვით ერთ სისხლით და ერთ
გვარით შეკავშირებულებს, ერთმა-
ნეთთან არა რაიმე ქონებრივი დამო-
კიდებულება არა ჰქონდათ. განცალ-
კავება და დაშორება ისეთ დიდს მან-
ძილზედ მიდიოდა, რომ გაყოფილ
ძმებს ერთმანეთის სისხლში წილი არ
ედოთ, ჯარიმიდამ არა ერგებოდათ-რა.
მაშინაც-კი, როცა მოკლულს ძმას
ოჯახში არც შვილი და არც გაუ-
ყრელი ახლო ნათესავი არა ჰყავდა,

სისხლი მაინც ოჯახს უნდა დარჩენო-
და, იგი მისი საკუთრება იყო და ამ
საკუთრებას ვერც ერთი გაყრილი
ნათესავი – მეყვისი თუ მოახლე, სულ

---

ბით რომ მიმღები „მობეგრე და მოსამსახუ-
რე“ იყოსო. მაშ ბეითალმალი სახელმწი-
ფოს საკუთრება ყოფილა და იყო კიდეც.



ერთია – ხელს ვერ შეახებდა. რო-
გორ ხმარობდნენ ძმის სისხლს? სის-
ხლი ორ ნაწილად უნდა გაეყოთ.
ერთი ნაწილი სახელმწიფოს მიჰქონ-
და – „სასეფოდ დაიდვასო“, მეორე
კიდევ სულს უნდა მოხმარებოდა
საცხონებლად – „დარჩეს სულისათვის
სასაუროდო“... მართალია, ძეგლი
ასეთს წესს ადგენს, როცა ძმა მოჰკ-
ლავდა ძმასა (ძ.-დ., მუსხ. იზ), მაგრამ
ამ კერძო წესს საზოგადო ძალა ჰქონ-
და, სავალდებულო იყო მაშინაც, რო-
ცა ერთი ოჯახის კაცი მეორე ოჯახის

წევრს მოჰკლავდა. ეს იმიტომ, რომ ერთის ოჯახის სისხლთან მეორე ოჯახს ხელი არა ჰქონდა.

ეგრედ წოდებულს სულის საუროს ჯეროვანი ყურადღება ჰქონდა მიქცეული [49]). მიუცილებლად სულსაც

---

[49]) ს.-ს. ორბელიანის განმარტებით, ს ა უ რ ი ხარჯს ნიშნავს. ძველს დროში ხშირად იცოდნენ შეწირულობა „სულისათვის სასაუროდ“. ეკკლესიასა და მონასტერს სწირავდნენ გლეხებსაც-კი, მაგ., ქაიხოსრო



თავისი ნაწილი უნდა რგებოდა სისხლისაგან. გარდა ამისა განმარტებულია, ვინ უნდა მოახმაროს სულს ეს ხარჯი. თუ მოკლულს შორეული ნათესავი ებადა, მაშინ იმის მოვალეობა იყო სისხლის „სასაუროდ“ მოხმარება, თუ არა-და, ერისთავსა და გამგებელს ებარათ ეს სულის საცხონებელი და საღმთო საქმე (ძ.-დ, მუხ. იზ).

რასკვირველია, როცა მოკლულს რამდენიმე განაყარი ძმა დარჩებოდა, ერთერთს მათგანს უფრო დაახლოვებულსა და გულის შემატკივარს, უნდა ეტვირთა სულის სასაურო მოვალეობა (მუხ. იწ), თუმცა-კი სისხლისაგან თითონ ვერას აიღებდა, მცირედს ნაწილსაც ვერ მოიხმარებდა თავის სასარგებლოდ.

---

და ლუარსაბ ერისთავმა მოჰკლეს 1661 წ. თავის ბიძაშვილი ზაალ ერისთავი, მაჰმადიანობა რად მიიღე და მეფეს განუდეგო, და ცოდვის შესანდობლად ოთხი კომლი გლეხი შესწირეს ანანურის ეკლესიას, Церк. Гуджари, стр. 20-21.



საიდამ წარმოსდგა საოჯახო ქონების ამგვარი თვისება? უმთავრესად იქიდამ, რომ საოჯახო ეკონომიური განწყობილება და წესი აღმოცენდა საბატონო მამულზედ, სახელმწიფოს

საკუთრებაზედ და ამ გარემოებამ ძლიერი გავლენა იქონია. საბატონო მამული ხელს არ უწყობდა კერძო საკუთრების აღორძინებას და ეს უკანასკნელი ჯეროვანად ვერც აღორძინდა. მართალია, „ნასყიდი“ კერძო საკუთრებაა, მაგრამ „მამული“ თავისის მნიშვნელობით სრულიად სჩაგრავს „წასყიდსა“, და რომ კერძო საკუთრებას დიდი მნიშვნელობა არა ჰქონდა, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ძეგლმა ანდერძი არ იცის და არც დააწესა. აქ არ უნდა დავივიწყოთ ერთი მოვლენაც, – ძეგლს დროს საგვარეულო კავშირი უკვე შერყეული იყო, მოკლებული იყო პირვანდელს ცხოველს ძალას და საკვირველიც არაა, რომ ოჯახს დარჩა უპირატესობა...



მარტო მამულზედ არ იყო და-

ფუძნებული ოჯახის ეკონომიური ძალა. მამულს გვერდით ნასყიდი ედვა და ეს უკანასკნელი შეიცავდა როგორც მოძრავს, ისე უძრავს ქონებას, თუმცა-კი უფრო მოძრავი შეადგენდა ნასყიდს [50]). ნასყიდის გაჩენა, იმისი საფუძველი თვით ოჯახის ბუნებაში უნდა ვეძიოთ. რაც უნდა იყოს, ძეგლის ოჯახი ცოტად მაინც ხელს უწყობდა კაცის სიმხნევესა და თაოსნობას. ყველა წევრს შეეძლო თავისი

---

[50]) კავკასიის მთიელებს აქვთ საგვარეულო და შემენილი ქონებაო (родовое и благопріобрѣтенное). როგორც ერთს, ისე მეორეს ვისაც ჰსურთ გარდასცემენო, Адаты, I, 150, § 7l. ასეა ჩერქეზებში, რომელთაც მიწა საერთო საკუთრებად მიაჩნიათ. ib. 120, § 12, 175. არც ჩაჩნებმა იციან მიწის საკუთრება. ყოველ წელიწადს მიწას თანასწორად ჰყოფენ, Адаты, II, 79, §§ 4, 5; ოსებში მამას უფლება აქვს სხვას გადასცეს საგვარეულო და შემენილი ქონება, იმის ნებაა, რასაც უნდა, იმას უზამს საოჯახო ქონებას, ib 6. 6, § 24.

საკუთრება გაეჩინა მამულს გარდა სხვა რამე „ეყიდა“, შეეეძინა. ეს მოვლენა ჩვენს სჯულ-მდებლობაში ჩვეულებრივია, მაგალითებრ აღბუღას „მონაგები“ იგივე ძეგლის ნასყიდია და სხვა არაფერი (მუხ. რნდ-რნე).

რა-კი ნასყიდის სათავე და დასაწყისი სხვა იყო, რასაკვირველია, იგი „სამსახურსაც“ მოშორებული უნდა ყოფილიყო. დიახ, სახელმწიფოს ნასყიდთან ხელი არა ჰქონდა და ნასყიდი თავისუფალი იყო „საჯარო, სალაშქრო და საბეგროსაგან“. ვისაც როგორ სურდა, ისე ჰხმარობდა ნასყიდს და, როცა ოჯახს თავს დაანებებდა, ნასყიდიც თან მიჰქონდა, – „რასაც უზამს, მამამ იცის, შვილი ნასყიდს ვერ უცილოსო“ (ძ. დ., მუხ. ივ). მხოლოდ მოხუცებულს მამას შეეძლო, თუ ნასყიდი არ ეყოფოდა,

მამულისაგან ცოტა რამე წაეღო, მაგ-
რამ ეს ხომ იმიტომ, რომ თავისი
სივაჟკაცე სულ „სამსახურში“ ჰქონ-
და გატარებული!..

– 98 –

მშობლებისა და შვილის პიროვნუ-
ლი დამოკიდებულება და ურთიერ-
თობა მეტად მოკლედ არის მოხსენე-
ბული. ძეგლს საოჯახო წესის საფუ-
ძვლად მხოლოდ შვილის „ნების მყო-
ფლობა“ მიაჩნია, შვილი მორჩილი
უნდა იყოს დედ-მამისაო. ამ „ნება-
ყოფლობას“ დიდი მნიშვნელობა ჰქონ-
და შვილისათვის მარტო ზნეობრივად-
კი არა, ეკონომიურადაც. მამა მხო-
ლოდ მაშინ დაუტოვებდა შვილს თა-
ვის ნასყიდს, როცა შვილი იმი მო-
რჩილი იყო და პატივისმცემელი,
თუ არა-და, შვილს ხელი არა ჰქონ-
და მამის კერძო საკუთრებასთან [51]).
ამასთანავე ძეგლი იმასაც დაძენს, რომ

[51]) ზოგიერთ ჩვენი მეზობლების ადათი მეტად სასტიკს უფლებას ანიჭებს მამას. ჩერქეზს, მაგალითებრ, ნება ურჩი შვილი მოჰკლას და ვერავინ რას ეტყვის; ოსებშიაც ასეთი ჩვეულებაა, Адаты, I, 152, § 81; II, стр. 26, § 98. სულ სხვა ნაირად არის ჩაჩნებში. მამამ თუ შვილი მოკლა, სხვა შვილები სისხლს მოსთხოვენ მამას, право капли, ib. 96, § 38, 112, § 8.



ურიანია დაბერებული მამა და მოწიფებული შვილი ერთად სცხოვრობდნენო. მაშასადამე, სჯული ფასს სდებდა ზნეობითს კავშირს და ჰქადაგებდა – რა დიდი მნიშვნელობა აქვს, როცა ოჯახში მამაშვილური თანხმობა და სათნოებაა.

დედ-მამის მოკვლა საშინელი და საზარელი ბოროტება იყო და, ასე გასინჯეთ, ძეგლს ვერც-კი წარმოუდგენია ეს ბოროტება, – „ჩვენთა ჟამ-

თა შიგან არ ქმნილა და ღმერთმან
ნუ იყოფინოსო...“ რასაკვირველია,
ამ უმძიმესს დანაშაულობას სასჯელიც
შესაფერი მოსდევდა – „რაც უარესია,
ყველას დამართება და ყოფა პირია-
ნიაო“: სიკვდილით დასჯა („გაპატი-
ჟება“), ამოწყვეტა, ამოფხვრა, სამუ-
დამოდ გაძევება და... მაგრამ ამაზედ
მეტი უბედურება სხვა რაღა უნ-
და დამართოდა კაცს! სისხლის და-
ურვება ხომ ყოვლად შეუძლებელი
იყო და ან რა სისხლი გაანელებდა
გონებისა და გრძნობის ღრმად აღ-



მაშფოთებელს დედ-მამის მოკვლას.
ძეგლის სიტყვით, სისხლის დაურვება
„უმსგავსოა“ და სხვებისათვის სამაც-
დურო იქმნებაო (მუხ. იე).

სისხლის დაურვება გაჩენილია ძმის
მოკვლაში და აქაც დამნაშავეს სი-
სხლი «გვარსა ზედა» სდიოდა. ამ სი-

სხლის დენას ზედ ერთოდა ათის წლით გაძება და მამულის სასეფეოდ დადება. როცა ვადა გათავდებოდა, ერისთავი და გამგებელი ვეზირის პირით მოახსენებდნენ დარბაზს და მაშინ დამნაშავე „შემოუშვანო“... (მუხ. იზ).

## X

როცა სისხლის სამართალი ჯერ ისევ დაბლა სდგას და შურისძიება კანონად მიაჩნიათ, მაშინ სასჯელსაც განსაკუთრებული თვისება ატყვა. ეს თვისება იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული  დანაშაულობა წინადვეა დაფასებული და ბრალდებულს სჯული თუ ადათი ავალებს ამა-და-ამ ბოროტებაში ეს ფასი უნდა გადაიხადოო. ამ სისტემას კომპოზიციას უწო-



დებენ (compositio). კომპოზიციის

აზრი კიდევ ისაა, რომ დაზარალებუ-
ლი ხელს იღებს შურისძიებაზედ, თუ
ჯეროვანს ფასს მისცემენ. – თუ შეისყი-
დი სისხლს, ხომ კარგი, არ შეისყი-
დი-და, შურისძიება ხომ ჩემ ხელთ
არისო. მაშასადამე, კომპოზიცია შუ-
რისძიების შესყიდვაა. ეს სისტემა
ცნობილია ძველადვე ევროპის ეგრედ
წოდებულს ბარბაროსულ სჯულ-მდე-
ბლობაში და ეხლაც კავკასიის მთიე-
ლების სისხლის სამართლის საფუ-
ძველს შეადგენს [52]). ძეგლის დებაც,
როგორც ძველი სჯულ-მდებლობა,
რასაკვირველია, კომპოზიციის სისტე-
მას მისდევს. აქაც თითოეული დანა-
შაულობა აღნუსხულია და ფას-და-
დებელი. თუ დამნაშავე ზარალს არა
ჰზღავს, ჯარიმას არ გადაიხდის, მა-

---

[52]) კომპოზიცია იცოდნენ, მაგ., ძველმა ფრანგებმა, Веко,Организація уголовной юстицйи,1867 г. стр. 134 – 142, სადაც მოხსენებულია რომელი დანაშაულობა რამ-დენი ღირდა.

შინ შურისძიებას მიმართავენ, მა-
შინ სისხლი სისხლს თხოულობს. ჯა-
რიმა კერძო საკუთრებაა, დანაშაუ-
ლობის ფასი, თეთრი დაზარალებულს
ან იმის ოჯახს ერგება, თითქო ბო-
როტის ქმნა აღებ-მიცემობა და ხელ-
შეკრულობა იყოს!

არ შეიძლება ითქვას, რომ ძეგლის
კომპოზიციის სისტემა ვრცელი და რთუ-
ლი იყოს. არა, აქ ბევრი რამე სრუ-
ლიად უყურადღებოდ არის დატოვე-
ბული და სისხლის ნიხრს დიდი ნა-
კლი ამჩნევია. ამ მხრივ ზოგიერთ
მეზობლებს, მაგ. ჩრდილოეთ კავკა-
სიის ოსებს, უფრო ვრცელი ნიხრი და
კომპოზიცია მოეპოვებათ [53]).

მოკვლის შემდეგ, ძეგლი, რასაკვირ-
ველია, უმთავრესს ყურადღებას აქცევს
გერშსა (მძიმე ჭრილობას), გახეიბრებას,
დაკოდას და სხ. სჯული აქაც საზო-

გადო გზას ადგია: ყველა ჭრილობა
და ასოს გახეიბრება, ან დაკოდა თა-

---

[53]) Адаты II, стр. 63-72 и пр.



ნასწორი დანაშაულობა როდიაო. ეს
იმიტომ, რომ სხეულის ძირებში ერ-
თი ასო უფრო საჭირო და ძნელად
დასაკლისია, ვიდრე მეორე. ამისდა
გვარად ზოგჯერ მეტი უნდა გადახ-
დეს დამნაშავეს და ზოგჯერ ნაკლე-
ბიო. ჭრილობისა და გახეიბრების
დროს თითქო არც ესტეტიური გრძნო-
ბა დავიწყებიათ. შეიძლება ისეთს ად-
გილას დაკოდონ ვინმე, რომ სილა-
მაზე დაჰკარგოს, დაღი დააჩნდეს, და-
სახიჩრდეს. მაშინ შედარებით უფრო
ბევრი ჯარიმაა დადებული.

გერშისა და დაკოდის ავ-ზნიანობაზეა
დამოკიდებული, სისხლი უნდა დაეურ-
ვოს დაზარალებულს, თუ მარტო არ-
ზანგობა გარდახდეს.ძეგლი სიახლის

დაურვებას მხოლოდ მაშინ თხოუ-
ლობს, როცა ვისმეს მძიმედ დასჭრიან
და დააშავებენ. თუ ჭრილობა სუბუ-
ქია, სისხლის მაგიერ დამნაშავემ არ-
ზანგი უნდა გადაიხადოს და დასტაქარ-
თა (ხირურგთა) წამლის ფასი. არზანგი,
მარტო რაოდენობით-კი არა, თვისე-



ბითაც განირჩევა სისხლისაგან, განსა-
კუთრებული ჯარიმაა, რომელიც სი-
სხლის მეორმოცედე ნაწილს შეად-
გენს [54]). საყურადღებოა, რომ რო-
გორც სისხლი, აგრეთვე არზანგიც სა-
ერთო და სავალდებულო ფორმულას
მისდევს, «გვარსა ზედა» სწარმოებს.

გერში ზემოდამ იწყება, პირიდამ მოს-
დევს. პირი ხომ უცხვიროდ არ შეიძლება

---

[54]) ძ ე გ ლ ი ს  თქმით, ხევის ბერს 150
თეთრი აქვს არზანგად დანიშნული, ჰაერო-
ვანს 30 (მუხ. ლა, ლა). ხევის ბერის სის-
ხლი ღირდა 6000 თეთრი, ჰაეროვანისა

1200 (მუხ. ვ, ია). ამიტომ ვფიქრობ, რომ
არზანგი სისხლის 1/40 შეადგენდა. აქ შევ-
ნიშნავთ, რომ ბ-ნი დ. ბაქრაძე სცდება ჰაე-
როვანის სისხლის გამოანგარიშებაში. ჰაე-
როვანის სისხლი ღირდა 200 დრაჰკანი,
რომელიც = 1200 თეთრს (მუხ. ია). მაშასა-
დამე, ერთი დრაჰკანი = 6 თეთრს, ავტორი-
კი ამბობს: „что касается монеты драх-
мы, то, по расчету статьи, она составля-
етъ шестую часть (,!), а по исчисленію
Броссе, двадцатую часть серебряника“...
Сб. Зак. Вахт., стр. 86.

– 105 –

და ძეგლიც პირის სადაღე გერშს და ცხვი-
რის მოჭრას ერთად იხსენიებს; ერთიც
და მეორეც სისხლის მეხუთედი ღირს.
მაგრამ შეიძლება გერში „სადაღედ“
არ იყოს, კაცი არ დაშავდეს და არ
დასახიჩრდეს. მაშინ სისხლის მაგიერად
დამნაშავეს უნდა გადაეხადა სამი არ-
ზანგი და დასტაქართა წამლის ფასი
(მუხ. ლბ). პირის «სადაღე» გერში
ძველადვე ცნობილია ჩვენს სჯულ-

მდებლობაში და, ძეგლს გარდა, სხვა-
განაც იხსენიება (აღბუღა, მუხ. ე,
რკე; ვახტანგის „სახიჩრება“, მუხ. მ‹);
თუმცა ჯარიმა-კი სხვა და სხვა იყო
დადებული. რასაკვირველია, დაშო-
რებით ნაკლებად ფასობდა ტანის
სუბუქი გერში, ანუ დაკოდილო-
ბა. ჯერ ერთი, რომ ამ დაკოდილო-
ბით კაცი არ დაშავდება, მეორედ –
ტანისამოსი ჰფარავს და სათაკილო
არ არისო. ამიტომ თითო ასეთს და-
კოდილობაში მცირე ჯარიმა უნდა
გაეღოთ, – ერთი არზანგი და სადას-
ტაქარო გარდასახადი (მუხ. ლ‹). ეს



ტანის მსუბუქი დაკოდილობაც მოხ-
სენებულია აღბუღას სამართალში, სა-
დაც „უჩინარი ადგილი“ უდრის ძე-
გლის «არა ჩნდეს ტანისამოსისაგანს»,
მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ აღ-
ბუღა ფასს არა სდებს ამ დაფარულს

გერშს და ამბობს, საპატიო კაცებმა გააჩინონ ჯარიმაო (მუხ. ზ, რკვ).

პირზედ თვალები გვასხია და ჩვენ-თვის ორივე თვალის სინათლე ერთ-ნაირად ძვირფასია. ძეგლიც მარჯვენა და მარცხენა თვალს თანასწორად აფა-სებს და ამბობს, რომ ერთის თვალის „წამოვარდნისათვის“ სისხლის მეოთ-ხედი მიეცით; ორის თვალით გამო-თხრაში ერთი ოირად, ე. ი. სისხლის ნახევარი, და გარდა ამისა დასტაქრის დანახარჯიცაო (მუხ. ლვ. ლვ). ერთს ადგილას აღბუღაც თანახმაა ძეგლისა, თუმცა მეორე ადგილას, ცოტა არ იყოს, ფასს უწევს, – ერთს თვალში სისხლის ნახევარი მიეცითო. ვახტან-გი ხომ უფრო სჩაგრავს ცალ-ცალკე თითო თვალს: ორი თვალი ერთად



სრული სისხლი ღირსო, ცალკე-კი თითო თვალი სისხლის მესამედიო.

(აღ. მუხ, ვ, რკე. აღბუღა იხსენიებს თვალის დაწვასაც, რომელიც დიდს დანაშაულობას შეადგენდა – „სისხლ-სა ოცი ათასი სხვა ემატოსო“, მუხ. რნბ. ვახ. სამ. მუხ. მდ, მე).

კბილებიც ხომ საჭიროა, მაგრამ ზოგიერთ კბილს, პირდაპირ მო-ეალეობის გარდა, სხვა გვარი სიკე-თეც მოაქვს, მაგ., პირს ამშვენებს. ამიტომ კბილები „საჩინონიც“ არიან და „უჩინარნიც“. ძეგლის წორედ ასე ესტეტიურად სჯის ამ ანატომიურს სა-განზედ. „საჩინო“ კბილი, სულ ერ-თია ზემოა, თუ ქვემო, ერთი ორად მეტი ღირს „უჩინარს“ კბილზედ, ასე რომ თითო ოთხს «საჩინო» კბილში ორი არზანგი გარდაიხადეთ, „უჩინა-რი“ კბილის ჩაყრევინებისათვის-კი ერთი არზანგიო (მუხ. ლთ, მ). აღ-ბუღას სამართალი თუმცა ესტეტიურს თეორიას მისდევს, მაგრამ წინა და უკანა კბილს თანასწორად აფასებს,

წინა კბილის ჩაერევინება სახიჩარია, უკანასი კიდევ ჭამას დააკლებსო. ამიტომ ყველა კბილს თანასწორი ჯარიმა დაუდო – თითის ფასი, ანუ სისხლის მეხუთედი (მუხ. თ). სხვა ადგილას იგივე სამართალი უარ ჰყოფს კბილების თანასწორობას და წინა კბილს ესარჩლება, იმის ჩაგდებინება ნახევარი სისხლი ღირს, უკანასი-კი მეხუთედიო (მუხ. რმგ, რმდ). მაგრამ რადა? საქმე იმაშია, რომ აღბუღას სამართალი ორ ნაწილად იყოფა. ერთი ეკუთვნის ბექა II, ხოლო მეორე აღბუღას, თუმცა სამართალს-კი აღბუღას სახელი ჰქვიან [55]). ბექამ და აღბუღამ სხვა და სხვანაირად ან უსხეს

---

[55]) ასე სჯის ბ-ნი დ. ბაქრაძე, რომელიც საფუძვლიანად უჩვენებს, სად თავდება ბექას სამართალი და საიდამ იწყება აღბუღასი, Об. зак. Вахт., стр. 95, I примѣчаніе; 110, примѣч. 3 – ჩვენის აზრით, თუ

აღბუღას სამართალში ხშირად წინააღმდე-
გობაა, იმით აიხსნება, რომ აღბუღამ, დროთა
და ჟამთა ვითარების გამო, სამართლის
ზოგ-ზოგი მუხლი შესცვალა.



სისხლი და სწორედ ამ მიზეზისაგან
წარმოდგა, რომ კბილების ჯარიმა
ხან მეტია და ხან ნაკლები. ვახტან-
გი სსამართალი ყველა კბილს თა-
ნასწორად აფასებს „წინა სახიჩრად
დარჩების, უკანა ჭამაში დააკლდები-
სო“ (მუხ. მზ), თითქო წინას-კი ნაკ-
ლები ჯაფა ადგეს ჭამის დროს!..

ახლა ასოებზედ ვისაუბროთ. ტანს
ხელები აბია. ძეგლი უყურადღებოდ
არც ამათ სტოვებს, თუმცა-კი მარტო
მარჯვენა ხელს იხსენიებს, თითქო
მარცხენა ხსენებათაც არა ღირდეს.
თუ ვისმეს მარჯვენა ხელი მოჭკვეთეს,
ან დაუშავეს, მესამედი სისხლისა უნ-
და მისცენო (მუხ. ლგ), მაგრამ ანა-
ლოგიით შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ

მარცხენა ხელი მარჯვენას უდრიდა. აი რადა. ძეგლი ამბობს, რომ კაცი თუ ცაცია იყოს «ლაყოჩა»„ მარჯვენის ხელის სისხლი დაეურვოსო (მუხ. ლდ). „ლაყოჩა“, როგორც ვიცით, ცაცია ხელს მარჯვენად ჰხმარობს. მაშასადამე, ხელ-სწორე კაცის მარ-



ცხენა ხელსაც მარჯვენის ხელის ფასი უნდა ჰქონოდა. ეს აზრი მით უფრო საბუთიანია, რომ საზოგადოდ ჩვენი ძველი სამართალი ხელების თანასწორობას არ უარჰყოფს და მათ შორის არაფერს განსხვავებას არა ჰპოვებს (აღ. მუხ. ვ, რკე. ვახტ. სამ. მუხ. მე). რასაკეირეელია, ორივე ხელის მოკვეთა ან დაშავება მძიმე დანაშაულობაა და ამისდა გვარად ძეგლიც დიდს ჯარიმას აწესებს, ნახევარ სისხლსა და დასტაქართა წამლის ფასს (მუხ. ლვ).

ხელზედ ფეხი უფრო ნაკლები ღირს,

ასე რომ ფეხის მოკვეთასა და დაშა-
ვებაში სისხლის მეოთხედია გაჩენილი
(მუხ. ლე). მაგრამ თუმცა ძეგლი ფე-
ხებსა სჩაგრავს, აღბუღა და ვახტან-
გი-კი ჰქომაგობენ და გადაჭრით ამ-
ბობენ – ხელი და ფეხი სწორნი არი-
ან და სისხლიც სწორად უნდა მიე-
ცეთო (აღ. მუხ. ვ, რკე. ვახტ. მუხ.
მდ, მე). ძეგლი ამ თანასწორობას
მხოლოდ მაშინ თანაუგრძნობს, რო-
ცა ვისმეს ორ ასოს წყვილად მო-



ჰკვეთენ და დაუშავებენ – „ორი ასო
ერთგან წაუხდესო“, მაგ. ორი ფეხი
ერთად და სხ. თითოეულს წყვილ
ასოში სისხლის ნახევარი უნდა ეზ-
ღოს დაზარალებულს, სულ ერთია
წყვილს ფეხს „წაუხდენენ“, თუ წყვილს
ხელსაო. სისხლს გარდა, გულქვავს
დამნაშავეს დასტაქრის წამლის ფასიც
უნდა გაეღო (მუხ. ლვ).

არც თითებია დავიწყებული, თუ-
მცა ძეგლს მარტო ხელის თითები მო-
ჰგონებია და ფეხებისა-კი უყურადღე-
ბოდ გაუშვია. მაინც ძეგლი ფეხებს
არა სწყალობს! თქვენც მოგეხსენე-
ბათ, რომ თითებში ცერი ყველაზედ
უფროსი და პატივცემულია. ამიტომ
ფასიც შედარებით მეტი ადევს, ხე-
ლის ნახევარი უნდა მიეცესო. სხვა
თითები ერთი ერთმანეთზედ მეტნი არ
არიან და ჯარიმაც თანასწორად ერ-
გებათ, ხელის მესამედი, სულ ერთია
მარჯვენა თითი იქნება, თუ მარცხე-
ნაო (მ.-დ. მუხ. ლზ) [56]).

---

[56]) მაჰმადიანთა სისხლის სამართალი და-



## XI

როცა ერს და საზოგადოების
აზრი ისე დაბლა სდგას, რომ შურის

ძიება სჯულ-მდებლობის საფუძველს შეადგენს, მაშინ სამართლის სწარმოებაც უფრო კერძო კაცის საქმე და მოვალეობაა, ვიდრე სახელმწიფოსი. „მოსაქმე კაცი“ – მოჩივარი თითონ ტვირთულობს თავისი უფლება დაიცვას: საჩივრის დაწყობა ანუ დავა, ბჭეების დასმა, მოწმების შოვნა, განაჩენის აღსრულება და სხ. „მოსაქმე კაცზეა“ დამოკიდებული სახელმწი-

---

შორებით უფრო სასტიკია ქრისტიანების სამართალზედ. მოკვლისა და დაშავებისათვის დამნაშავეს მოჰკლავენ და დააშავებენ, როგორც მან სხვა დააშავა (კისას, возмездіе, თუ არა-და, ჯარიმას გარდაახდევინებენ (д и е ф а , რომელიც, ას აქლემს გარდა, ფულადაც უნდა მიეცეს). ასოს გახეიბრება, ჭრილობა და სხვა დაფასებულია და ყურანი ამბობს, რა დანაშხულობაში რამდენი დიეტა უნდა მიეცეს დაზარალებულსაო. რასაკვირველია, აქაც კომპოზიციის სისტემაა, Фанъ денъ Вергъ. стр. 129 – 136.

ფოს თითქმის სულ არა ეკითხვის-რა და თუ ეკითხვის რამე, ისიც მეტად ცოტა. ასეთს გზას ადგია საზოგადოდ ყველა ძველი სამართალი [57]), მას მისდევს ძეგლის დებაც. აქ, ამ ძეგლში, თუმცა მოხელეებს სჯული და კანონი აბა-რიათ, მაგრამ სამართლის წარმოება ჯერ ისევ კერძო კაცის ტვირთია, იმის თაოსნობაზეა დამყარებული. ცხადად სჩანს, რომ სახელმწიფოს ჯეროვანი გავლენა ვერ მოუპოვებია, მოხელე იძულებულია დადუმდეს, როცა შუ-რისძიება და თვით-ნებლობა ბატო-ნობს და ბრძანებლობს... მეორე თვი-სებაც ცხადად ამჩნევია ძეგლის სამარ-თლის წარმოებას. ეს თვისება თით-ქმის ყველა ძველის სჯულ-მდებლო-

---

[57]) სხვათა შორის, თვით რომაელების უძვე-ლესი სჯულიც. ძველ ფრანგებსაც სამარ-თლის წარმოება კერძო კაცის საქმედ მია-ჩნდათ, საზოგადოება და სახელმწიფო არა-ფერ შუაშია, დაზარალებულისა და იმის

ოჯახის ვალია სამართალი ეძიოს, Веко, стр. 143 – 146.



ბის კუთვნილებას შეადგენს და ნიშნობლივ გამოიხატება მით, რომ სახელმწიფო და კერძო კაცი თითქო იბრძვიანო სამართლის მოედანზედ. სახელმწიფო ჰლამის თითონ დაისაკუთროს თემიდას სასწორი. კერძო კაცი-კი ამის წინააღმდეგია და ყველა ღონისძიებას ხმარობს ცილი და ჯიბრი გაუწიოს სახელმწიფოს, – სამართლის წარმოება ჩემი საქმეა და შენ აქ ხელი არა გაქვსო. დიაღ, ასეთი ბრძოლა ჯერ ისევ სუფევს ძეგლში და რადგანაც ქიშპობა არ გათავებულა, თვით სამართლის წარმოებაც არეულ-დარეული და მოუწყობელია [58]). შე-

[58]) Сб. Зак. Вахт., стр. 83, სხოლიო. აქ დ. ზ. ბაქრაძე საფუძვლიანად დასძენს, რომ ძ ე გ ლ ი ს  დ ე ბ ა ს  სულ სხვა ხასიათი

აქვს, ვიდრე ვახტანგის სამართალსაო. ეს ორი სჯულ-მდებლობა, სხვათა შორის, იმით განირჩევა, რომ ძ ე გ ლ შ ი  შურისძიებას დიდი მნიშვნელობა აქვს და თვით სამართლის წარმოება, процессъ-ი სახელმწიფოს უცილობელი საქმე არაა. ვახტანგის სჯუ-



მდეგში სახელმწიფოს რჩება გამარჯვება და ამიტომ ნელ-ნელა ჰქრება შურისძიება და ბოლო ეღება კერძო კაცის თვით-ნებლობას.

ერთის მხრით, მოხელენი – ერისთავი, გამგებელი და ხევის ბერი თითქო დარაჯობენ სამართლის სასწორს და თვალყურს ადევნებენნ ეს სასწორი მრუდედ აქეთ-იქით არ გადაიხაროსო, მეორეს მხრით, მოსაქმე კაცს სურს სამართალი იმის ნებისა და სურვილისამებრ სწარმოებდეს. სახელმწიფო სცდილობს სამართლის საქმე წესიერად მოაწყოს, სჯული და კანონი დაისაკუთროს, მოსაქმე კაცი-კი

ამის წინააღმდეგია და უმეტესად შურის-
ძიებას მისდევს. ბრძოლა ჯერ არ გა-
თავებულა, თუმცა ცხადია, რომ შუ-
რისძიებას ფრთები ეკვეცება. სწო-
რედ ასეთს სურათს წარმოადგენს

---

ლის შეხედულობით-კი სამართალი სახელ-
მწიფოს ეკითხვის. ეს, რასაკვირველია, წარ-
მატებასა და წინმსვლელობას ამტკიცებს.



ძეგლის სამართლის წარმოება (про-
цессъ). ასეთი ხასიათი ატყვია ჩვენს მეო-
რე უძველესს სჯულ-მდებლობასაც [59]).

მოსაქმე კაცს უნდა დაეწყო საჩივა-
რი და დავა, სულ ერთია შეეხებოდა
იგი სისხლის სამართალს, თუ სამო-
ქალაქოს. უკეთუ მოპასუხე „სასა-
მართლოდ“ არ გავიდოდა, მოსაქმე
კაცი გამგებელს აცნობებდა და ეს
უქანასკნელი კიდევ ერისთავს. მაშინ
„ორჯელ-სამჯერ“ გამოიწვევდნენ.
მაგრამ შეიძლება მოპასუხე არც ერის-

თავისა და გამგებლის გამოწვევას და-
თანხმებულიყო. რასაკვირველია, მო-
წმეებს უნდა ეთქვათ: გამოიწვიეს და
მაინც არ გამოვიდაო. აი სწორედ მა-
შინ მოჩივარს სრული ნება ჰქონდა
შური ეძია და ძალა ეხმარა. ასეც იქ-

---

[59]) სახელდობრ აღბუთას სამრთალს, სადაც თვით დიდებულნი შურისძიებას მისდევდნენ და იგი მიაჩნდათ სამართლის საფუძვლად, მუხ. ბ. აქაც სჩანს, რომ პატრონი ჯაყელი და მაწყუერელი ეწინააღმდეგებიან შურისძიებას...



ცეოდა. მაშინ ყველაფერი იმაზე იყო
დამოკიდებული. მისი ძალა და ენერ-
გია, მძულვარე გულის თქმა და ვნე-
ბათა ღელვა – აი რა ბჭობდა და ასა-
მართლებდა დანაშაულობას!.. დასხმა
(თავს დაცემა და დარბევა) შეადგენ-
და ერთად ერთს ღონისძიებას, რო-
მელსაც მიმართავდა ხოლმე მოსაქმე

კაცი. რასაკვირველია, დასხმა სჯულს კანონიერ მოვლენად მიაჩნდა და ამისთვის ძეგლი ამბობს – „დასხმა გაცუდდებისო“ [60])... რაკი ასე იყო, – „სი-

---

[60]) ძ ე გ ლ ი ს „დასხმა“ მიაგავს ეგრედ წოდებულს ბ ა რ ა მ ტ ა ს , რომელიც ჩვენის მეზობელ მთის ხალხის ადათია. ბარამტა იმას ჰქვიან, როცა დაზარალებულს, „მოსაქმე კაცს“ ნება აქვს თავს დაესხას მოპასუხეს, ან იმის ნათესავსა და სოფლელს და ნაპარევი ძალით იზღოს, წაართვას. ბარამტა პირველად იხსენიება როსტომ ხანის კრებულში, რომელიც შედგენილია XII საუკ. დაღესტნელ ლეკებისათვის Адаты, I, 18 – 19. ბ ა რ ა მ ტ ა ს სხვა-და-სხვა მნიშვნელობა აქვს და ისეთიც, როგორიც ძ ე - გ ლ ი ს „დასხმასა", ibid. стр. 366.



სხლი და გერში ორთავე სწორეა, ზედა დამსხმელისა და შინა მყოფისაო“, ე. ი. დასხმა იურიდიულად თითქო არც-კი არსებობს და ორსავე

მხარეს სისხლი თანასწორად სდიო-
დათ „გვარსა ზედა“, თუმცა მოსაქმე
კაცი თავს ესხმოდა მოპასუხეს და ეს
უკანასკნელი მხოლოდ იგერებდა მტე-
რსა!..

მხოლოდ ერთს შემთხვევაში სახელ-
მწიფო იჩენდა ძალას. ეს მაშინ, რო-
ცა ვინმე დაესხმოდა ისეთს კაცს, რო-
მელიც „საქმესა დარბაზისასა იმიზე-
ზებს“: მეფისა და ტახტის სამსახური
დროს არ მაძლევს „სასამართლოდ“
გამოგყვეო. მაშინ დამსხმელი და იმისი
მომხრენი თუნდაც მოეკლათ, არაფე-
რი, – „სისხლი არ არის, რა ზომიცა
მოკვდეს, ყველაგაცხადდესს“ (მუხ.
კთ). „დარბაზის საქმის“ გამო თვით
შურისძიებაც აღელდებოდა“ და დას-
ხმას დანაშაულობად სთვლიდნენ.
„დარბაზის საქმის“ კაცს-კი და, ასე
გასინჯეთ, ყველა იმის სოფლელს, რო-

მელსაც დასხმაში მოჰკლავდნენ, სის-
ხლი სდიოდათ და დამსხმელი ვალ-
დებული იყო „ყველა დაიურვოს თა-
ვის გვარსა ზედა“ (იქვე).

## XII

ეგრედ წოდებული სამეკობრო საქ-
მე *) მთლად დაფუძნებულია შურის-
ძიებაზედ. ეს მით უფრო საყურადღე-
ბოა, რომ როგორც ეხლა, ისე ძვე-
ლად მეკობრობა საქებარი და სავაჟ-
კაცო საქმე იყო, მეკობარს დამღე-
როდნენ, ლექსით ამკობდნენ[61]). ჩვე-
ულებისამებრ, პატრონი შეჰყრიდა
მდევარს და მეკობრებს გამოუდგებო-
და. მეკობრებიც შემოებმოდნენ პატ-
რონსა და იმის მდევრებს („უკან წა-

---

*) მეკობრე – მტაცებელი, ს.-ს. ორბელია-
ნი. ძ ე გ ლ შ ი  მეკობრე ქურდსაც  ჰქვიან.
მაგ., ცხენის, ცხვრის, ძროხის მომპარავი
მეკობრად არის წოდებული. მუხ. მდ.

[61]) ქურდობა ჩვენს მეზობელ მთიელებსაც საქებარი საქმე ჰგონიათ, მეტადრე თუ ვინმემ გაქურდა სხვა სოფლისა და გვარის კაცი, Адаты, I, стр. 16 – 18.



უდგნენ და მიეწივნენ, მეკობრები შემოებნენ) და შებმის დროს შეიძლებოდა მეკობრები მოეკლათ. მოკვლას უსისხლოდ უნდა გაეარა, – „სისხლი გაცუდდეს ყველასი“ [62]). მაგრამ ეს კიდევ არაფერი. შესანიშნავი უფრო ისაა, რომ «საქონლის პატრონისათვის» უნდა დაეურვათ, მიეცათ მოთავე ქურდი («თავადი») და ორი კიდევ სხვა, – სულ სამი ქურდი.

რას ნიშნავს ეს «ერთი თვით იგი თავადი დაიურვონ და ორი სხვა თავითურთ?»

რომაელების პირვანდელი უძველესი სჯული ამბობდა, რომ პატრონს უფლება აქვს, თუ ქურდმა ძალადობა გაუწია, მოჰკლასო. იგი,

[62]) მაჰმადიანთა სჯულიც ნებას აძლევს პატრონს ქურდი მოკლას, როცა ქურდობა-ზედ მოასწრობს, Фанъ денъ Бергъ стр. 132. ბარბაროსული სასჯელია დაწესებული ქურდობისათვის. ქურდს ხელ-ფეხს მოსჭრიან და მოჭრილ ასოებს მდუღარე ერბოში ჩაუ-ყობენ სისხლი შესწყდესო, ib. стр. 139.



და თუ სურს, ქურდი მონად გაიხა-დოსო, ძეგლიც აწესებს, რომ საქონ-ლის პატრონს შებმის დროს შეუძ-ლიან მოკლას მეკობარიო. მაგრამ მარტო მოკვლით ხომ არა გამოვი-დოდა-რა: ნაპარევს ერთი სამად გარ-დახდა უნდოდა და გარდასახადი უფ-რო მეტად უღირდა პატრონს, ვიდ-რე მეკობრის მოკვლა. ჩვენის აზრით, სწორედ ნაპარევის საზღვევრად უნ-და წაეყვანა დაზარალებულს „ერთი თვით იგი თავადი და ორი სხვა“. მე-კობრები უნდა დარჩენილიყვნენ პატ-

რონთან, ვიდრე ერთი სამად ნაპა-
რევს უზღავდნენ. ასეთი ჩვეულება ეხ-
ლაც დარჩენილია მთიულებში, მაგ.,
ყაბარდოში [63]). შეუძლებელი ქურდი
საქონლის პატრონის მონა შეიქმნა
შემდეგ და ისიც ვახტანგ VI წყალო-
ბით, რომელმაც დააწესა, რომ პატ-
რონს „თუ ვერ აუვიდეს, ქურდი თა-
ვისი ცოლ-შეილით, საქონლით და

[63]) Адаты, стр. 253, § 105.



ნასყიდით მიეცესო“ (მუხ. რნა). ეს
ყმად თავის თავის მიცემა ლოგიკური
შედეგი იყო იმ დიდის ჯარიმისა, რო-
მელიც სჯულ-მდებელმა ქურდს გაუ-
ჩინა: სისხლის ნახევარი და შვიდეუ-
ლად ნაპარევის გარდახდა. მაგრამ
ძეგლი ამ მხრივ ქურდს ჰქომაგობს.

შეიძლებოდა, შებმის დროს თი-
თონ მეკობრეს მოეკლათ პატრონი,
ან არა-და, იმის მოახლე (მდევარი).

მაშინ? – რაზომიც- მოკვდნენ, სისხ-
ლი სრული დაუურეონ და ნაპარე-
ვი... ერთი, თუ რაც წახდენოდეს,
ორი სხვა“ (ძ.-დ., მუხ. მდ).

ისეც მოხდებოდა, რომ მეკობარი
მოპარვის შემდეგ – „უკანის“ აღმოჩე-
ნილიყო. რა უნდა ექმნა საქონლის
პატრონს? – რასაკვირველია, მაშინაც
სამართალი პირველად პატრონს უნ-
და ეძია, საქმე იმას უნდა დაეწყო.
«ქვეყანა იყოს მეკობრე, თუ ერთი
კაცი», პატრონი მივიდოდა და გა-
მოუცხადებდა – ნაპარევი ერთი სამად
მიზღევითო. მაგრამ თუ არ უზღავ-



დნენ? – პატრონს უნდა მიემართა ხე-
ვის ბერისა და გამგებლისათვის, იმათ-
თვის უნდა ეცნობებინა გარემოება.
რადგანაც ხევის ბერსა და გამგებელს
სამართალი ეკითხოდათ, ამიტომ ორი-
ვე ვალდებულნი იყენენ მეკობარს

«უთხრან და დაუურვებინონ»... შეიძლებოდა იმათ ვერა გაეწყოთ-რა, მეკობარს თხოვნა და ბრძანება არ შეესრულებინა. მაშინ ერისთავთან იჩივლებდა პატრონი („სადა ახლოს ერისთავი იყოს, იმასაც აცნობოს“) და თუ ერისთავიც ვერას გახდებოდა, საქმე შურისძიებაზედ უნდა მივარდნილიყო. აი სწორედ მაშინ დასხმა იყო ერთად-ერთი უფლება და კანონი. მაშინ საქონლის პატრონს „დამსხმელი არა ჰქვიან“ და რამდენი მეკობრე თუ ასაბია მოჰკლას, „სისხლი არ ეზღვევის მათი“ (მუხ. მე).

როგორც სჩანს, სამართლის წარმოება მოსაქმე კაცისა და საქონლის პატრონის თაოსნობაზე იყი დამოკიდებული და იგი თაოსნობა შეად-



გენდა სამართლის დასაწყისსა და დასასრულს. ერისთავი, გამგებელი და

ხევის ბერნი მხოლოდ «სთხოვდნენ» მოპასუხეს, სხვა ძალა ხელთ არ ეპყრათ, და ეს გარემოება ცხადად ამტკიცებს, რომ ძველად სამართალს ჰქმნიდა მარტო კერძო კაცის ენერგია. ეხლაც ასეა ზოგიერთ ადგილას მთაში.

სამეკობრო საქმეში ასაბია იხსენიება. რა იყო და ვინ იყო ასაბია,რას ნიშნავდა ასაბიაობა? – საჭიროა პირველადვე დავსძინოთ, რომ ასაბია შეცდომით მიაჩნიათ ქართულ სიტყვად და ჰგონიათ ვითომ ეხლა იგი ხმარებაში არ იყოს [64]). ასაბიაობა (ასაბია – თანა-

---

[64]) „Слово это тоже старое, нытѣ не извѣстное“ (?), Сб. Зак. Вахт., стр. 93, დ. ბაქრაძის შენიშვნა. მაგრამ ასაბია მაჰმადიანის სჯულ-მდებლობის ტერმინია. Асабатъ, ასაბათობა, ასაბიაობა სხვა-და-სხვა ნაირია და საზოგადოდ მემკვიდრეობას ნიშნავს, Фанъ денъ Бергъ, стр. 97. ჩვენს სჯულ-მდებლობაში ასაბიობა გადასხვაფე-

მოზიარე, соучастникъ) განსაკუთ-
რებულს იურიდიულს მოვლენას წარ-
მოადგენდა და მეკობრობასთან კავ-
შირი ჰქონდა. საქმე ისაა, რომ რაკი
მეკობრობა სავაჟკაცო საქმე იყო, ყვე-
ლა მარჯვე და სახელოვანს მეკობარს
რამდენიმე ასაბია გამოუჩნდებოდა და
ხშირად მთელი გუნდი ვაჟკაცებისა
მეკობრეობდა. ძეგლში პირდაპირ მოხ-
სენებულია, რომ მეკობარი პირობი-
თაც შეეკვრის ასაბიასაო, – „თუ მათ
შუა ამისი პირი იდვას, რომ ერთმა-
ნეთის ასაბიანი იყენენ“... რამდენიმე
ვაჟკაცი პირობას დასდებდა სამე-
კობროდ და ნაშოვარს – „სანივთოს“
გაიყოფდნენ ხოლმე ერთმანეთში. სა-
ერო ლექსებიდამ სჩანს, რომ მთაში
მეკობრობას, რომელსაც ლაშქრობასაც
უწოდებენ, თვით „ჯვარი“, «ხატი»

---

რებულა და პირვანდელი მნიშვნელობა და-
უკარგავს. ეს სიტყვა აღბუღას სამართალში

რუსულად სწორედ არის ნათარგმნი – „со-
общникъ“, стр. 16. ძ ე გ ლ ი ს  რუსული
„сотоварищъ“ იურიდიულად არ იხმარება.



ბძანებდა და შეუთვლიდა ხოლმე ვაჟ-
კაცებსა. მაშასადამე, მეკობრობას რე-
ლიგიური მნიშვნელობაც ჰქონდა...
რაში მდგომარეობდა ასაბიაობის იუ-
რიდიული თვისება?

მეკობარი და ასაბია თანასწორნი არიან,
ერთნაირად პასუხის გამცემნი, ერთის
ბედისაი. როგორც მეკობარს სისხ-
ლი არა სდიოდა, იმის მოკვლაში არ
იყო ჯარიმა გაჩენილი, ისე ასაბიასაც
არა ერგებოდა-რა: „არც სისხლი და-
ეურვოს და არც გერში მიეცესო|...
ეს მაშინ, როცა „შესწორებული სა-
ქმე არის“, როცა პირობა არებობს
მეკობარსა და ასაბიას შორის. მაგ-
რამ შეიძლებოდა იგი პირობა გაუქ-
მებულიყო და, ძეგლის თქმით, „მე-
ასაბენი გაყრილიყვნენ, მოყვარენი

აღარ ყოფილიყვნენ“. მაშინ? – ასაბიას მდგომარეობა გამოიცვლებოდა და თუ მოჰკლავდნენ, „ასაბიეთ წამ-ყვანელს“ სისხლი უნდა დაეურვა მო-კლულის ასაბიას „სისხლის კაცთა-თვის“ ე. ი. იმის ნათესავებისათვის.

– 127 –

აქაც სისხლი „გვარსა ზედა“ იურვე-ბოდა. „ასაბიეთ წამყვანელს“ მხო-ლოდ „სანივთოდგან“ უნდა გარდა-ეხადა სისხლი და თუ იგი „სანივთო“ – ნაქურდი და ნაძარცვი საქონელი – არ მოეპოვებოდა, მაშინ არც სისხლი „ესააბიოს“... მაგრამ ერთი რამე იყო საჭირო, ასაბიას ნათესავებს ნადავ-ლევიდგან სისხლი რომ მიეღოთ: ეს ის, რომ მოთავე მეკობრის ანუ «ასა-ბიეთ წამყვანელის» ნათესავი პირვე-ლად არ მოეკლათ „რბევის“ დროს. თუ მოჰკლავდნენ, ეს ზარალიც საკ-მარი იყო წამყვანელისათვის და, რა-

საკვირველია, „სანივთო“ მთლად იმას რჩებოდა. ამ გვარად, მეკობრე საქ-მის სული და გულია და პასუხიც იმან უნდა აგოს ასაბიას. ასეთის აზრისაა ასაბიაობაზედ აღბუღას სამართალიც (მუხ. ივ).

—

მთაში ეხლაც ჩვეულებრივი ამბა-ვია ლაშქრობა და შუღლი. ბევრჯელ ერთი თემი მეორეს მტრობს და ამის



გამო შეტაკება ჩნდება, სისხლი უწყა-ლოდ იღვრება. ხშირად რამდენიმე გვარი ერთურთს ებმის, არბევს და ეს ლაშქრობა ნამდვილს ომიანობას მია-გავს. ძველ დროს, რასაკვირველია, ლაშქრობას უფრო მისდევდნენ. ამ საზარელს მოვლენას სჯულ-მდებელ-მა ყურადღება მიაქცია და რადგანაც ჩვეულების ძირიანად აღმოფხვრა არ

შეიძლებოდა, ის მაინც დააწესა, რომ სალაშქრო მოედანი მცირე ყოფილიყო. ამისათვის საჭირო იყო პირ-აქეთ და პირ-იქით მთიულნი განცალკევებულიყვნენ და ძეგლიც მხოლოდ იმას ამბობს, რომ ამიერნი და იმიერნი ხევის-ბერნი და ჰაეროვანნი – „ნუ მიუდგებიან ნურცა რა სალაშქროდ, ნურცა რა სასაურვოდ ისაქმებენ ერთმანეთთანაო“ (ძ.-დ., მუხ. მგ.) რატომ? – მიზეზი ცხადია: „მიდგომა“ მიშველებას ნიშნავდა და მიშველება კიდევ მთელ არაგვისა და ქსნის არემარეს ლაშქრობისა და შუღლის ველად გარდააქცევდა ხოლმე. მეტადრე



ხევის-ბერნი და ჰაეროვანნი ხელს უწყობდნენ შებმასა და შეტაკებას, რომელიც, მთიულის აზრით, მაინც საკვაჟკაცო საქმეა. ძეგლმა სასტიკად აკრძალა ეს სამამაცო ვარჯიშობა

და დამნაშავეს „დარბაზით მამული წაუღოს და ციხე დაექცესო“... მაგრამ დასცხრა შფოთი და მოუ-სვენარი ბუნება ლაღის მთიული-სა?!...

დასასრულ ორიოდე სიტყვაც ვა-ლის საქმეზედ. მაინც ძეგლის დება ამ ვალის საქმით თავდება. თეორიულად ძეგლი უარ-ჰყოფს სარგებელს, იგი უწესოაო, – „არც ქართველთ რჯულ-თა სძეთ წესად რომ აიღონ და არც სხვათა რჯულთა უწერიათო“ (მუხ. მვ). საზოგადოდ ქართული სჯულ-მდებლობა არ თანაუგრძნობს სარგებ-ლის აღებას და ყოველთვის სცდი-ლობს მოვალეს შეღავათი მიეცეს. ასე აწესებს აღბუღა, ამას ბრძანებს თვით ვახტანგი. მაგრამ ცხოვრება თავისას არ იშლიდა და მკაცრმა



საჭიროებამ სძლია სჯულ-მდებელთა

კაცთ მოყვარეობა. ვერც ძეგლი ასცდა „სიავით“ სავსე საზოგადოებას და, რასაკვირველია, დაადგინა, რომ... „თუ მიმცემი კაცი ავი იყოს, სარგებელი აიღოს ათსა თეთრსა ზედა ორი თეთრი რაზომი დიდი ხანი დაეყოსო“... ათს თეთრზე ორი თეთრი, რამდენი ხანიც უნდა გემართოს ვალი, – ეს კიდევ დიდი წყალობაა, თუ მეტადრე მიმცემი „ავი“ კაცია!.. ეგრედ წოდებული ვახში(% %) არაა მოხსენებული ძეგლში და ალბად იმიტომ, რომ ქართული სჯულ-მდებლობა სულ პირველადვე სდევნიდა ვახშსა.

ჩვენ არ ვიცით, სახელდობრ რომელ რჯულზედ ამბობს ძეგლი: „სარგებელი არც სხვათა რჯულთა უწერიათო“... მხოლოდ ის კი ცხადია, რომ მაჰმადიანთა რჯულს არ უწერია სარგებელი. ამ რჯულმა მოწყალეზის გაცემა სავალდებულო საქმედ დასდო და საკუთარი ხარაჯა დააწესა

გლახაკთა და შეუძლებელ მოვალეთა-
თვის [65]). რასაკვირველია, სარგებე-
ლი უნდა მოსპობილიყო. მოსპეს კი-
დეც და დიდ-ცოდვადაც აღიარეს.
იქნება ძეგლს მაჰმადიანთა რჯულიცა
აქვს მაგალითად, რადგანაც იმ დროს
მონგოლებს გავლენა ჰქონდათ ქარ-
თველებზედ, რომლებსაც იმათი რჯუ-
ლი და ყოფა-ცხოვრება უნდა სცოდ-
ნოდათ...

---

[65]) Фанъ денъ Бергъ, стр. 34 – 39, 52, 66, 71.